

645

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

9
1984



ყვარლის რაიონი.
სოფელ ჭიკაანის
ახალი საბავშვო
ბაღი

დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხა-
ტვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический
и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## დეპუტატი და ცხოვრება

# ხალხის ბედნიერები-სათვის

სრულიად ახალგაზრდაა. დარეჯან სვანიძე და უდიდესი მოვალეობა აკისრია — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია...

დარეჯანი ქუთაისელია. აქ დაამთავრა საშუალო სკოლა. აქვე შევიდა 47-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში და ზედმიწევნით დაეუფლა მკერავის პროფესიას. მასთან ერთად სწავლობდნენ ნატო კლდიაშვილი, ირინე ბოყოველი, მანანა გაჩეჩილაძე, მარინე, მანანა და ნინო ბერაძეები. გოგონები დამეგობრდნენ და როცა სასწავლებელი დაამთავრეს, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანებაში მივიდნენ სამუშაოდ. მათ ახალი კომკავშირული ბრიგადა შექმნეს, რომელსაც ბორის ძნელაძის სახელი მიენიჭა.

გოგონებს გზადაგზა სიძნელეები ხვდებოდათ, ოსტატობამდე წინ დიდი გზა იყო, და ამ გზაზე სიარულს უადვილებდათ ბრიგადის ხელმძღვანელი, გამოცდილი მკერავი თინა ჩოგოვაძე.

კოლექტივის თანადგომით ახალგაზრდებმა წარმატებებს მიაღწიეს. ახალი კომკავშირული ბრიგადა დაწინაურდა საწარმოში, მერე სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ყველას გასახარად ბრიგადის თითოეული წევრის ქებაც გაისმა.

საწარმოში მუშაობის ყოველ წუთს ფასი აქვს. ეს მისვლისთანავე იგრძნო დარეჯანმა და უმალ შეუერთდა ძველ მუშათა იმ ნაწილს, რომლებიც არასდროს არ ღალატობენ მოწინავეთა ტრადიციებს და ვერ ითმენენ წესრიგის დამრღვევებსა და გულგრილებს.

დარეჯანი ყოველთვის ადრე მოდიოდა სამუშაოდ, ემზადებოდა, მერე ჩართავდა საკერავ მანქანას და სულ იმას ცდილობდა, ყოველდღიური გეგმისთვის გადაეჭარბებინა, ხარისხისთვის არ ეღალატა.

დღეს დარეჯანი არა თუ მოწინავე მუშაა, ახალბედა მუშების აღმზრდელიც არის. მას სჯერა, რომ, რაც უფრო მომრავლდებიან კვალიფიციური სპეციალისტები, მით უკეთესად მოგვარდება ის მტკივნეული საკითხები, რომლებიც დღესდღეობით გადასაჭრელია; შეკერავენ უკეთესი ხარისხის კაცის ტყავის ქურთუკებს, ვილვეტის, კრემპლინისა და ჯინსის შარვლებს, ბეწვის პალტოებს, ქალის ხალათებს.

ამასვე ფიქრობს ახალგაზრდა მკერავი ნინო სანებლიძე. იგი ყოველ წუთს გრძნობს დარეჯან სვანიძის გულისხმიერებას, დახმარებას ამა თუ იმ დეტალზე მუშაობისას. დარეჯანმა მის გულშიც გააღვიძა საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობის გაზრდის სურვილი, მეგობრობის, კოლეგიალობის გრძნობა, აგრძნობინა ერთიანი ოჯახის სითბო, დაინტერესდა მისი პირადი ცხოვრებით, მომავლის გეგმებით.

დარეჯანს ფაბრიკაში მტკიცე ხასიათის ქალიშვილად იცნობენ. ჯერ მხოლოდ 26 წლისაა და მუშაობის რვა წლის მანძილზე მთელი კოლექტივის პატივისცემა მოიპოვა. და მარტო კარგი საწარმოო მაჩვენებლებით კი არა, — აქტიური საზოგადოებრივი მუშაობითაც. როგორც № 1 საამქროს კომკავშირის კომიტეტის წევრს ბევრი ღონისძიება ჩაუტარებია მაღალორგანიზებულად, შთამბეჭდავად, დასახსომებლად. ჯერ ქუთაისის ლენინის რაიონული საბჭოს, ხოლო შემდეგ საქალაქო საბჭოს დეპუტატი იყო. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდა მკერავი ქალიშვილის აქტიურობა — საერთო საცხოვრებელში გადაუდებელი რემონტის ჩატარებისას, თუ წყალგაყვანილობის მოწესრიგებისას, ეზოს გამწვანებისას.

დარეჯანი, როგორც საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, დაუცხრომლად ზრუნავს მშრომელთა სამუშაო თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ხალხი ყველაზე კარგი მხილველიც არის და დამფასებელიც. ხალხმა თავისი ინტერესების დამცველად მიავლინა დარეჯანი საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში, — დეპუტატად აირჩია.

მუშის შრომა დაფასდა, ხალხის რჩეულმა ამ დაფასებას გაათკეცებული სამსახური შეაგება.

როგორც მშობლიურ ქუთაისში, ისე ტყიბულში, ამბროლაურში, ონში, ლენტეხსა და ცაგერში ამომრჩევლებთან შეხვედრისას დარეჯანი ყველა წინადადებას და მოსაზრებას გულდასმით იწერს უბის წიგნაკში, ადგენს მათი განხორციელების კონკრეტულ გეგმას, განსაკუთრებით გამოყოფს დიდმნიშვნელოვან პრობლემებს: საბინაო მშენებლობის, სამედიცინო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო ობიექტების და ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნას. ეს იმიტომ, რომ ყოველი მშრომელის განწყობილება შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი პირობაა.

საბჭოთა კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ღრმაშინაარსიანი გამოსვლა, რომელიც ძირითადად საბჭოების მუშაობას მიეძღვნა, დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწყარია დარეჯანისათვის. „მტკიცედ ვიღვაწოთ იმისათვის, რომ საბჭოების კონსტიტუციური უფლებები სრულად გამოიყენებოდეს, რომ ჩვენი სახალხო ხელისუფლების ორგანოები საქმით უზრუნველყოფდნენ მშრომელთა აქტიურ, შეგნებულ, დაინტერესებულ მონაწილეობას სახალხო მეურნეობის, საზოგადოების, სახელმწიფოს მთელი საქმეების მართვაში“.

გაამართლოს ხალხის ნდობა — ეს არის დარეჯანის, — მუშის და დეპუტატის, — მთავარი მიზანი, რასაც იგი თავდადებული შრომით ასრულებს.

ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას, სადაც დარეჯანი მუშაობს, კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელი აქვს მინიჭებული. ბრიგადის ოცდახუთივე წევრი თავდადებით შრომობს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად: დღენიადაგ ნერგავენ შრომის პროგრესულ მეთოდებს, განამტკიცებენ შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინას, შრომობენ ურეკლამაციოდ, ასრულებენ გეგმებს და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით უფრთხილდებიან საწარმოს სახელს.

გ. მეფისაშვილი



ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები: მარცხნიდან მესამე დარეჯან სვანიძე.

გურამ გერსამიას ფოტო

ნოდარ ჯალალონია

## მადლობელი ვარ

ხანდახან, როცა შემეფეთები,
ხანდახან როცა გზაზე შემხვდები,
დაღამებული თითქოს ვთენდები,
თითქოს დაშლილი ციხე ვშენდები.

და ველოდები ისევ იმ ქარებს,
რასაც არ ველი დიდი ხანია...
სადაც შენა ხარ, სწორედ იქ არი,
ჩემი ყინწვისი და ბეთანია.

და თუ ისურვებ, თუ კი ინდომებ,
ჩემი ჭაღარით არ დაფეთდები.
ჩემს გულზე, — როგორც გაშლილ მინდორზე
იარე შენი ირმის ფეხებით.

საცოდავია სული პოეტის
თუ სიმარტოვით დადარდიანდა...
ეტყობა, ცოტა ადრე მოვედი,
ანდა შენ მოსვლა დაგაგვიანდა.

მადლობელი ვარ მაინც იმისი,
შენ რომ არსებობ ამ ქვეყანაზე.
რუსთაველი და ჩემი თბილისი
შენი ყოფნით რომ გაალამაზე.

მადლობელი ვარ, რომ სევდა მიპყრობს,
და რუსთაველზე დავდივარ მარტო.
მადლობელი ვარ, შენზე რომ ვფიქრობ,
შენზე რომ ვწუხვარ, შენზე რომ ვდარდობ.

მადლობელი ვარ, ათასში ერთხელ,
თუ სიხარულის ცეცხლით ამანთებ.
ათასში ერთხელ, ათასში ერთხელ,
მაგ შველის თვალებს თუ მომანათებ.

მადლობელი ვარ, ათასში ერთხელ,
თუ მომაგონებ ჩემს სიჭაბუკეს.
ათასში ერთხელ, ათასში ერთხელ
თუ შენს ღიმილს და სიცილს მაჩუქებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქუმელები

მე-20 საუკუნის დასაწყისამდე გალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი სოფელი ოქუმი იყო, სადაც გადიოდა თბილის-მარტვილ-ბედია-ბიჭვინთის გზა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის კაცების გვერდით ოქუმელი ქალებიც იბრძოდნენ. და, როცა კოლექტივიზაციის წლები დადგა, როცა ჩაის პლანტაციები უნდა გაეშენებინათ, ამ საშვილიშვილო საქმეშიც ოქუმელმა ქალებმა დიდი შრომა გასწიეს.

1984 წელს გალელებს სოციალისტური შრომის გმირები შემოემატათ, ორდენოსნები მოუმრავლდათ. მათ შორის იყვნენ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ლაისო ბულისკერია და სერამიდა ჯუმუტია.

დღეს ხანდაზმულია სერამიდა ჯუმუტია, მაგრამ კვლავ შრომის მაგალითს აძლევს თანასოფლელებს.

ბევრი დღევანდელი მოწინავე ქალია მისი აღზრდილი. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ როზა შონია, ალექსანდრა ჯინჯოლია, ნატო შამათავა და სხვები, რომლებიც სახელოვნად აგრძელებენ სერამიდას და ლაისოს მიერ დანერგილ ტრადიციებს, იბრძვიან ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ხუთწლედის დიადი გეგმების შესრულებისათვის.

როზა შონია და ალექსანდრა ჯინჯოლია ომის წლებში გავიდნენ ჩაის პლანტაციებში და მალე მოწინავენი გახდნენ, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მრავალი მედლით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდნენ. ისინი ჩაისაც კრეფდნენ, სიმინდის ყანებსაც უვლიდნენ და აკვნებსაც არწევდნენ. დღეს კი შვილიშვილების სიმრავლითაც ხარობენ და შრომითაც დაფასებულები არიან.

ნატო შამათავა მათზე ახალგაზრდაა. 1964 წელს გათხოვდა ოქუმში და იმავე წელს გავიდა ჩაის პლანტაციებში.

პირველ წელს 5 ტონა ფოთოლი მოკრიფა, მეორე წელს — 7. მომდევნო წლებში ამ მიღწევით არ დაკმაყოფილდა და 10-12 ტონა ჩაით აავსო კალათები. შრომობდა, მაგრამ განათლებასაც არ ივიწყებდა, მეცადინეობდა უმაღლესში შესასვლელად. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტს ჩაის კრეფასა და შვილების აღზრდაში სულაც არ ეშლებოდა ხელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



წლევანდელ მოსავალს შემოდგომა შეაჯამებს. მეოთხე აგროგანყოფილების მეჩაიეები და მესიმინდეები კარგ მაჩვენებლებს გვპირდებიან.

ამის გარანტიას გვაძლევს სოციალისტური შრომის გმირის სერამიდა ჯუმუტიას, ალექსანდრა ჯინჯოლიას, როზა შონიას, ნატო შამათავას, ვალია კოზმავას, ნონა არდბელავას, ანელა და ზოია კოზმავების, ლეილა ჭუმბაძის, სვეტლანა შამათავას, ლეილა ხასაიას, ტანია ქვაჩახაიას და სხვების თავდაუზოგავი შრომა.

ისინი ჩაის პლანტაციებშიც არიან და ციტრუსოვანთა რიგთაშორისებშიც, სიმინდიც მოჰყავთ და ფუტკარსაც უვლიან.

და რაც მთავარია: საიმედო ბურჯად უდგანან ქართულ ოჯახებს, სადაც მომავალ მეჩაიეებს, ეკონომისტებს, ექიმებს, მსახიობებს ზრდიან.

ი. გამსახურდია,
დ. ჩაკაბერია.

მეჩაიე როზა შონია

საუბრობს ჩაის ხარისხზე

დ იაკობაშვილის ფოტოები

ახალგაზრდა დედა, მეჩაიე, სტუდენტი აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავი მედლით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, მეცხრე ხუთწლედში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს.

ნატომ ინსტიტუტი დაამთავრა, წარმატებით დაიცვა სადიპლომო ნაშრომი: „ჩაის ბუჩქის გასხვლის სახეები და ფოთლის კრეფის წესების გავლენა პლანტაციის მოსავლიანობისა და ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითზე".

შემდგომ წლებში — ახალი მოვალეობები დაეკისრა, პარტიის წევრი გახდა, სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრიც იყო.

საკოლმეურნეო და საზოგადოებრივ შრომაში გამორჩეული ქალი კოლმეურნეობის გამგეობამ მეოთხე აგროგანყოფილებას ჩაუყენა სათავეში. ამ აგროგანყოფილების მეჩაიეებმა 1983 წელს 13,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 160 ტონის ნაცვლად 199,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღეს და საჰექტარო მოსავლიანობა 15 ტონამდე გაზარდეს. მესიმინდეებმა 32 ჰექტარი სიმინდის ყანაში 78 ტონის ნაცვლად 129 ტონა სიმინდის მარცვალი მოიწიეს.



> იმაზე, თუ როგორ წარვმართავთ ხალხის სულიერ ენერგიას, ავამაღლებთ მის შრომითსა და სოციალურ აქტიურობას, ბევრად არის დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, ჩვენი წინსვლის ტემპი და, რა თქმა უნდა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.
>
> კ. უ. ჩერნენკო.

## სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები

# ექვსი ქალი და ერთი მამაკაცი



ქ. კოტოშაშვილი (თიანეთი)



ე. ერაძე (ონი)

ზ. მამედოვა (დმანისი)



დიდი საქმე, ან რაიმე პატრიოტული თაოსნობა ზოგჯერ უბრალოდ იწყება ხოლმე.

ივნისის დამდეგს, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე ერთმანეთს შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მწველავები — ადიგენელი ელენე მსხვილიძე და თიანელი ქსენია კოტოშაშვილი, ცხინვალელი აგრაფინა თეგკაევა და დმანისელი ზამინა მამედოვა, ახალქალაქელი სონია ქოჩოიანი და ონელი ელიკო ერაძე, ჩოხატაურელი ალიოშა გიორგაძე. რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს, ბუნებრივია, თავიანთ საქმიანობაზეც ჰქონდათ მეგობრული საუბარი,

გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ყველა რეგიონში უამინდობამ სერიოზული სიძნელეები შეუქმნა საზოგადოებრივ მეცხოველეობას, საფრთხე დაემუქრა 295.000 ტონა რძის შესყიდვის ვალდებულების შესრულებას. სესიაზე მომხსენებელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება რძის წარმოებასა და შესყიდვაში ჩამორჩენის დაძლევის ღონისძიებებზე და დეპუტატებს ურჩია გამოეჩინათ ინიციატივა, სათავეში ჩადგომოდნენ რძის წარმოებაში ჩამორჩენის დაძლევისათვის გაჩაღებულ ბრძოლას.

მალე გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" დაიბეჭდა წერილი „რძე — ვალდებულების გადამეტებით!", რომელსაც ხელს აწერდნენ მწველავი დეპუტატები — ექვსი ქალი და ერთი მამაკაცი.

მათ ამ დევიზით შეჯიბრების გაჩაღება შესთავაზეს რესპუბლიკის მწველავებს, ფერმის ყველა მშრომელს და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ელენე მსხვილიძემ (ადიგენი, ბენარის საბჭოთა მეურნეობა) გადაწყვიტა ვალდებულების გადამეტებით მიიღოს 50 ცენტნერი რძე. მისი ოჯახი გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარ ნაკვეთში მოიწევს 15 ტონა საკვებ ჭარხალს და დაამზადებს 20 ტონა თივას. დეპუტატის ოჯახის ხუთი წევრი ფერმაში შრომობს, აქედან ორი რძალი მწველავია.

ქეთევან კოტოშაშვილი (თიანეთი, ერწოს საბჭოთა მეურნეობა) ვალდებულების გადამეტებით, ფურზე საშუალოდ მიიღებს 200 კილოგრამ რძეს, ოჯახი დაამზადებს 20 ტონა საკვებს.

ზამინა მამედოვა (დმანისი, კიროვის საბჭოთა მეურნეობა) პირუტყვის საძოვრული შენახვის პერიოდში ვალდებულების გადამეტებით მოწველის 15 ცენტნერ რძეს, ოჯახი დაამზადებს 50 ტონა სასილოსე და სასენაჟე მწვანე მასას.

აგრაფინა თეგკაევა (ცხინვალი, თამარაშენის საბჭოთა მეურნეობა) ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამისა, ფურზე საშუალოდ 1.850 კილოგრამ რძეს მიიღებს.

სონია ქოჩოიანმა (ახალქალაქი, ბურნაშეთის კოლმეურნეობა) პირობა დადო, ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 3.500 კილოგრამისა, ფურზე საშუალოდ 4.000 კილოგრამი რძე მიიღოს.

ელიკო ერაძე (ონი, სორის საბჭოთა მეურნეობა) ვალდებულების გადამეტებით ფურზე საშუალოდ 150 კილოგრამ რძეს მიიღებს.

ალიოშა გიორგაძე (ჩოხატაური, ხიდისთავის კოლმეურნეობა) ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2. 500 კილოგრამისა, ფურზე საშუალოდ მიიღებს 2.800 კილოგრამ რძეს, გაპიროვნებულ 1 ჰექტარ სიმინდის ნაკვეთში კი გათიბავს 50 ტონა სასილოსე მასას.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ასე მოიქცევიან არა მარტო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი მწველავები, არამედ ყველა, ვინც ფერმაში შრომობს, ვინც რძის წარმოების გადიდების კეთილშობილური ამოცანის განხორციელებას ემსახურება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა დეპუტატი მწველავების პატრიოტული თაოსნობა ვალდებულების გადამეტებით რძის წარმოებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა ფართოდ გაავრცელონ იგი, თითოეულ შრომით კოლექტივში გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მწველავთა შორის ვალ-



ე. მსხვილიძე. (ადიგენი)



ა. თეგკაევა (ცხინვალი)



ს. ქოჩოიანი (ახალქალაქი)

ა. გიორგაძე (ჩოხატაური)



დებულების გადამეტებით რძის წარმოების გადიდებისათვის.

მასობრიობა, საჯაროობა, ქმედითობა არაფერს ისე არ ამშვენებს, როგორც სოციალისტურ შეჯიბრებას. დეპუტატ მწველავთა თაოსნობა: რძე — ვალდებულების გადამეტებით! საბრძოლო მოწოდებად გაისმა მთელს რესპუბლიკაში. დეპუტატ მწველავებს უმალვე ყველა რეგიონში, ყველა რაიონსა და მეურნეობაში გამოუჩნდნენ მიმდევრები, მთელმა რესპუბლიკამ გაითავისა კეთილი თაოსნობა.

ვალდებულებით ნაკისრი 4.000 კილოგრამის ნაცვლად ფურზე საშუალოდ 4.100 კილოგრამ რძეს მოვწველი, — განაცხადა გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის მწველავმა, პარტიის გარდაბნის რაიკომის ბიუროს წევრმა, რაისაბჭოს დეპუტატმა, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერმა ქეთევან ქარჩაიძემ და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თანამოსაქმეები.

სართიჭალის მერძევეობის კომპლექსში მწველავთა ვალდებულებები რომ შეაჯამეს, საკმაოდ სოლიდური ციფრი გამოვიდა: 100 ტონა რძე ვალდებულების გადამეტებით.

50 ტონა რძეს მოწველიან ვალდებულების გადამეტებით ზესტაფონის რაიონის როდინოულის მეცხოველეობის კომპლექსის მწველავები.

ფურზე საშუალოდ 3.200 კილოგრამ რძეს მიიღებს (ვალდებულებაზე 200 კილოგრამით მეტს) წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ლენინის ორდენოსანი მწველავი ფარნაოზ ბენაშვილი.

ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის კოლმეურნეობის მწველავის, ახალგაზრდა კომუნისტის, მახინჯაურის სადაბო საბჭოს დეპუტატის სურიე დევაძის პირობაა ვალდებულების გადამეტებით ფურზე საშუალოდ 300 კილოგრამი რძე ჩამოწველოს, რაც დამატებით 30 ცენტნერ რძეს მისცემს ფერმას.

ნაბაკეველმა (გალის რაიონი) მწველავებმა დამატებით ვალდებულებები რომ შეაჯამეს, სიამაყით თქვეს, 360 ცენტნერი გამოდისო.

გალის რაიონში კი მთლიანად ვალდებულების გადამეტებით ფურზე საშუალოდ 50 კილოგრამ რძეს მოწველიან. რაიონის მასშტაბით თუ ამას 50 კილოგრამს დავუმატებთ 1075 ცენტნერს შეადგენს...

ვინ დათვლის, რამდენი სასურველი შესწორება შეიტანეს დეპუტატ მწველავთა თაოსნობის პასუხად თავიანთ ვალდებულებებში მწველავებმა, ბრიგადებმა, ფერმებმა, კომპლექსებმა, რაიონებმა. და ამ შესწორებებს, ამ დამატებითს ვალდებულებებს ერთი კეთილშობილური მისია აქვს — რესპუბლიკამ წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს 295.000 ტონა რძე.

**დ. ქათამაძე.**

# შრომის დღეების სიამე

ზუგდიდში, ჟდანოვის ქუჩაზე № 31 სახლის წინ რომ ჩაივლით, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიპყროს კარგად მოვლილმა ეზო-ბაღმა. აქ ნამდვილი წალკოტია, რა ჯიშის ვარდსა და ყვავილს არ ნახავთ! ისინი დაუღალავი დიასახლისის ნათელა ალშიბაიას ნახელავი და ნამაგარია.

ნათელა ალშიბაია მარტო ყვავილების ტრფიალი კი არ არის, ზუგდიდში მას ისტორიულ-არქეოლოგიური ნივთების შემგროვებლად და მოჭირნახულედაც იცნობენ. მისი ბინის ერთი ოთახი წიგნებს, ისტორიულ სიძველეთა რელიკვიებსა და სურათებს უჭირავს — იქვეა ჟამგადასული, გაყვითლებული ფოლიანტები და სიგელ-გუჯრები, ზუგდიდის თეატრის ძველი აფიშები...

— ორმოცი წელი შევწირე, — სამსახურის პარალელურად, ამ რთულსა და საყვარელ საქმეს.

სამსახური კი მართლაც რთული ჰქონდა ნათელა ალშიბაიას. 40 წელი უმწიკვლოდ ემსახურა სოციალისტური კანონიერების დაცვას, თანაც ერთ ქალაქში, სადაც თითქმის ყველა მისი ნაცნობი და მოკეთე გახლდათ.

1945 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ნათელა ალშიბაია ზუგდიდის რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად იწყებს მუშაობას, შემდეგ კი პროკურორის თანაშემწედ აწინაურებენ. 1960 წელს ნათელას ზუგდიდის რაიონის სახალხო მოსამართლედ ირჩევენ. აქედან მოყოლებული მან 22 წელი იმუშავა სახალხო მოსამართლედ და 1982 წელს პენსიაზე გავიდა.

მოსამართლედ მუშაობისას არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნათელა ალშიბაიას უკანონო გადაწყვეტილება გამოეტანოს.

მოსამართლის სამართლიანობამ და გულისხმიერებამ ბევრ გზააცდენილ ადამიანს დაუბრუნა რწმენა და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა, მისი ყოველი სიტყვა სიმართლითა და დამაჯერებლობით გამოირჩეოდა.



ერთხელ ,დილით, სამსახურში რომ მივიდა, კაბინეტის წინ მაღალი კაცი შენიშნა.

— თქვენ ჩემთან ხართ?

— დიახ.

სად მინახავს ეს კაცი? — გაიფიქრა მოსამართლემ და უცნობი კაბინეტში მიიწვია.

— დაბრძანდით, გისმენთ, რას გაურჯიხართ?

უცნობი არ დაჯდა. ხელში ქუდს აწვალებდა, ეტყობოდა ღელავდა. ბოლოს, როგორც იქნა გაბედა და ბორძიკით დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ ვერ მიცანით. ამ ერთი წლის წინათ გამასამართლეთ. ერთი წლით მომესაჯა თავისუფლების აღკვეთა.

ვარლამს მთელი ქალაქი იცნობდა როგორც უქნარას, დებოშის ამტეხს; ჯანღონით სავსე ვაჟკაცი არსად მუშაობდა და არც ფიქრობდა მუშაობის დაწყებას.

მშობლებმა ჩვეულებრივ ხერხს მიმართეს, ვარლამს ცოლი შერთეს, იქნებ ოჯახის მოკიდებამ დაადინჯოს, ჭკუაზე მოიყვანოსო. არც დაოჯახებამ უშველა ყმაწვილს. უმიზეზოდ ეჭვიანობდა მეუღლეზე, ზოგჯერ მის ცემასაც არ თაკილობდა. ერთ დღეს ისე გამოთვრა, რომ მეუღლეს სხეულის მსუბუქი დაზიანებაც კი მიაყენა. სასამართლომ დამნაშავე დასაჯა.

— შრომა-გასწორების კოლონიაში, სადაც სასჯელს ვიხდიდი, თერთმეტჯერ გამომიცხადეს მადლობა სანიმუშო წესრიგისა და კარგი მუშაობისათვის. და აი დავბრუნდი...

ვარლამს ლაპარაკი ეძნელებოდა, ბოლოს მძიმედ წარმოთქვა: ლიზა არ მირიგდება. ის ერთი წელი, რომელიც შრომა-გასწორების კოლონიაში გავატარე, ჩემთვის მწარე გაკვეთილი იყო, სამუშაოზეც ვერ მოვეწყვე. ოჯახის დანგრევა არ მინდა და თქვენთან რჩევისათვის მოვედი.

მოსამართლე დაფიქრებული უცქეროდა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც თავი ჩაექინდრა. „რახან ეს ყმაწვილი [illegible] შემობრუნდა, შეიძლება [illegible] ფიქრა ნათელამ და ვარლამს უთხრა: — შეიძლება თქვენს სიტყვებს ენდოს კაცი. თავს არ შეირცხვენ, სამუშაოზე მოწყობაში დაგეხმარებით. ვნახოთ, ორი დღის შემდეგ გამოიარეთ.

ნათელა ალშიბაიამ თავისი სიტყვა შეასრულა. ვარლამი სამუშაოზე მოაწყო, გამოიძახა და დიდხანს ესაუბრა მის მეუღლეს.

ცოლ-ქმარი შერიგდნენ.

ზუგდიდში უყვართ და პატივს სცემენ ნათელა ალშიბაიას ოჯახს. მის მეუღლეს, სამამულო ომის ვეტერანს, ლენინისა და სხვა მრავალი ორდენისა და მედლის კავალერს შალვა გულუას, რომელიც 1979 წელს გარდაიცვალა, მთელი რესპუბლიკა იცნობდა, როგორც პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ღვაწლმოსილ მუშაკს. ის წლების მანძილზე ჯერ პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა, შემდეგ კი ქალაქ ზუგდიდის აღმასკომის თავმჯდომარედ. შვილი, კომუნისტი გრიგოლ გულუა ექიმია და მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება. ქალიშვილი მაია კი ტექნიკუმის მოსწავლეა...

წერილს ჩეხოვის სიტყვებით დავამთავრებთ: ადამიანისა ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: სახეც და ტანსაცმელიც, სულიც და აზრიც....

**ზ. მესხენბისერი,**
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

# მრავალი სიყვარულის სხივი

სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი, როცა სიყვარულის სხივით არის გამთბარი; ჭეშმარიტი სიყვარული მოსავს კასპის რაიონის სოფელ ზემო ჩოჩეთში მცხოვრებ გრიგოლ და ნადია ნუგზარიშვილების ოჯახს.

ნადია დეიდა შვიდი შვილის დედაა.

დარეჯანი, თინათინი, ქეთევანი, ნინო, თამარი, ლელა, ეკატერინე, ბედნიერებით რომ ავსებენ მშობლების გულს. სიხარული მაშინ უნდა ნახოთ, ყველა ერთად რომ ესტუმრება: შვილები და შვილიშვილები.

სამი ქალიშვილი გათხოვილია, ორი მათგანი მედიცინის დაა, ერთი კასპის საავადმყოფოში, ხოლო მეორე — მანგლისში მუშაობს. ქეთე-

# შვილი საქართველოს უკვდავება

ვანი ბუღალტერია კასპის რაიკოოპერატივისა, მომდევნო ქალიშვილებიდან ერთი ბუღალტრის პროფესიას ეუფლება, მეორე — მედდისას, ლელა ახალქალაქის საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეა, სულ პატარა ეკატერინე კი ჯერ თოჯინებს უცინის. ნადია ახალქალაქის სასოფლო საბჭოს დეპუტატია. — კასპის სატყეო მეურნეობის რაიონის სატყეოს ბრიგადირი; მის ბრიგადაში ათი მეტყევე ქალი მუშაობს. მათ ევალებათ ტყის ხელოვნური გაშენება და მისი მოვლა. საზრუნავი ბევრი აქვს გამრჯე ქალს,

ოჯახში დაბრუნებულ გრიგოლს და ნადიას თვალებციმციმა შვილები და შვილიშვილები ახარებენ, — შრომის სტიმულს უძლიერებენ.

იმრავლოს ასეთმა ოჯახებმა!

**ლია ალიმბარაშვილი.**





ლალი მარტაშვილი

# გული, სიხარული და ცრემლები

მხატვარი ხ. ცინცაძე

მოთხრობა

როცა გული ხარობს, როცა გული იცინის, თვალებიც იცინიან და სიხარულის ცრემლებს ღვრიან. ძლიერმა სიხარულმა იცის ცრემლი, სიხარულის ელდამ იცის ცრემლი. ბუნების ძალაა, ატირე ადამიანი სიხარულის ელდით!

როცა გული ტირის, თვალები იცრემლება მწუხარების ცრემლით. ოო, ეს ცრემლი დიდი რამეა, დიდი ნუგეში, — აბა, გული გაიმაგრე, ცრემლი არ დამანახოო, — ეტყვიან ხოლმე გამწარებულ ჭირისუფალს, რადა? ჭირი, რაცა სჭირს, ის არ ეყოფა? ცრემლს რაღად უჭერ? იტიროს, თუ შეუძლიან ჭირთა თქმა! დიდმა ჭირმა დადუმებაც იცის, სიტყვას არ ათქმევინებს. ცრემლად დაღვრის, შეიძლება აალრიალოს კიდეც და სიტყვა კი არ ათქმევინოს, ხანგრძლივმა მწუხარებამ გაშრობაც იცის. აბა, ელოს უყურე, მეხასავით ბიჭი დაკარგა ომში, ისე მოგიყვება იმის ამბავს, ერთი არ მოუწყლიანდება თვალები. დიდმა დარდმა გატეხა, გაცვითა გაამრო, აღარ არი ქალი და იმიტომ.

...იმ წელიწადს გაუგონარი კონკურსი იყო ინსტიტუტში მიღებაზე. რას იზამ, შენი ჭირიმე, სწავლის გაგრძელება ყველას უნდა და იმ ყველაში ბევრია ისეთი, რომ ძნელია აჯობო. ჩემი მეზობელი გოჩა აბარებდა გამოცდებს. „ხუთი“, მარტო „ხუთი“, უეჭველად „ხუთი“! ამ ბოლო საგნის „ხუთიც“ იძლეოდა ჩარიცხვის სრულ გარანტიას. აბა არ ვიღელვებდით?! რატომ ვიღელვებდი, რომ ამ ბიჭს კარგად არ ვიცნობდე და არ ვიცოდე რა დიდი შრომით აქვს შეძენილი ცოდნა.

მთელი საღამო აივანზე ვიჯექ. ათიც გახდა, თერთმეტიცა და ბიჭი არსად ჩანდა. მთელი ოჯახი ნათესავ-მეგობრებიანად ინსტიტუტში იყო გახვეტილი.

ღმერთო, გაუმართლე ყველას მოლოდინი, შემოვიდა ეზოში ბიჭი თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებით: დედ-მამითა, დითა, ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილებითა. იმათ დაღლილსა და გაამაყებულ სახეებს რომ ჩავხედე, მივხვდი, კოჭი ალჩუზე იჯდა. იცოდნენ, რომ ვერ მოვისვენებდი, ამომხედეს და ამომძახეს: — „ხუთი“, „ხუთი“! ხუთი სიხარული მიაგოს ბუნებამ იმის დამწერსაც და ამ ჩემ საყვარელ მეზობელსაც, როგორც მე გამიხარდა, აივნიდან აივანზე გადაძახილით მთელმა სახლმა გაიგო ბიჭის გამარჯვების ამბავი. რამ ამატირა? აი, ალალი შრომით რომ მოიპოვა გამარჯვება, სიმართლემ რომ გაიმარჯვა, იმან ამაცრემლა, აბა ეხლა მითხრას ვინმემ იმის დედ-მამაზე „ბიჭი მოაწყესო“. აბა ვაპატიებ ამის თქმას, მე კი სიხარულმა გული ამიწუა, ვინატრებდი სიხარულის ელდით ვტიროდე მარტო! მაგრამ მწუხარების ელდაც რომ მაჩვენა წუთისოფელმა! მერედა როგორი!

მწუხარებას უნდა გაუძლო ადამიანმა, მწუხარებას თავი არ უნდა დააჩაგვრინო! ამას მოკეთე გეტყვის და არა მტერი. შენთვის კარგის მოსურნე და არა ცუდისა. ნათესავი თუ მეგობარი თანაგრძნობას გაგიწევს ჭირში, ეცდება, როგორმე დაგაძლევინოს და თუ შენც არ მიეშველე, რა გამოვა, ისიც დაიღლება შენი ნუგეშობით და ჩამოგშორდება. შინაური, შენი სისხლი და ხორცი ხომ ვერ ჩამოგშორდება, ვერ მიგატოვებს, ახლა შენ უნდა შეიცოდო ის, რა ქნას იმანაც, შენი ჭირი იმასაც ხომ სტკივა, იმასაც უნდა შეაძლებინო, აატანინო...

აი, რამოდენა დარიგება წავიკითხეთ და მე თვითონ კი ადვილად ვემორჩილები დარდს, რა დღეში ჩავვარდი გუშინ საღამოს!

ჩემი შვილი ყოველთვის თავის დროზე ბრუნდება სამსახურიდან, თუ იგვიანებს, მატყობინებს ხოლმე. იცის, რა „გიჟი“ დედაცა ჰყავს და იმიტომ. მაგრამ, აი, ისე მოხდა, რომ ველარ შემატყობინა. არც შვიდზე მოვიდა, არც... უნდა გავგიჟდე თუ არა? არა! მოვა, აბა რას იზამს! საცაა მოვა! საცაა გავიგონებ კარის ზარის ხმას, მოვა, აბა რა. განა ასე სხვა დროს არ მინერვიულია? გავგიჟებულვარ და მერე მინანია. რა მოხდა, — გავჯვარდნივარ თავს, — ასე ჭირვეულობა შეიძლება მეთქი! ჩემმა შვილმა იცის, როგორ მძულს მთვრალი კაცი, ეგებ გადაჰკრა ერთი-ორი ჭიქა ღვინო! ვის უნახავს ჩემი შვილი ისე დამთვრალიყო, რომ ან სიტყვა შეშლოდა, ან ფეხი... ალბათ, გადაჰკრა და ამხანაგების დედამ მიყო სიკეთე და არ გამოუშვა. ძალიან კარგადაც მოიქცა. რა კარგი დედები ჰყავთ ჩემი შვილის ამხანაგებს! ჰო და, რა უნდა მთვრალ კაცს ქუჩაში! ჩემი შვილის იმედი კი მაქვს, მაგრამ იქნებ სხვა მთვრალს გადაეყარა, აწეული ტონით მოლაპარაკეს, ჩემმაც ველარ მოითმინა და წაიკიდნენ, ვაი თუ, დავიღუპო, ჩხუბს რა ეჭირს, ერთი-ორი თუ მოხვდა, მაგრამ მე რისაც მეშინიან, გაქრა იმის გამომჭედი!

ძალიან კარგი, რომ არ გამოუშვა!

დღეს 13 ივნისია, 1982 წლის 13 ივნისი , თორმეტ საათზე დაიწყება დიდი ფეხბურთის მატჩი. ჩვენმა ფეხბურთელებმა საზღვარგარეთ უნდა ასახელონ საქართველო.

ჩემი ბიჭი ამ დღეს, ამ საღამოს მოუთმენლად მოელოდა. ფეხბურთის დიდი ტრფიალია. მონაწილეობაში თავგანწირული მეკარე იყო და ახლა გატაცებული მაყურებელია, როგორ? საცაა ტელევიზიის ეკრანს დაიპყრობს ფეხბურთი და ის ამ წუთებს გააცდენდა?

აი, უკვე 12 საათია. აღგანდგარდა ქალაქი. აი, უკვე ქების შეძახილებიც ისმის სახლებიდან. დარასელიააა! ღრიალებენ სართულსართულ. ნუგზარ, შვილო! მეც მინდა ვიღრიალო. ჩემი ბუდე დუმს, წუხილის დუმილი... მეფობს ჩემს ბუდეში.

დავწვე? რომ არ მეწოლება. ეგრე ფეხდგომელა უნდა გავათენო... იმ ბიჭს არ ელოდებოდნენ? მოვიდა? ალბათ, მოლოდინში გაათენა იმის უბედურმა დედამ ღამე!

რაებზე ვფიქრობ, დასწყევლოს ღმერთმა, რა მჭირს სამაგისო, ჰა! რაც ქვეყანაზე უბედურება დატრიალებულა, სულ ახლა მაგონდება და ჩემი შვილის ათასნაირი უბედურება მიდგას თვალწინ.

არაფერზეც არა ვფიქრობ ახლა, წიგნი უნდა წავიკითხო... ჰო, ჩავათავე გვერდი, მეორეზეც გადავედი. რა წავიკითხე? ვერაფერიც ვერ გავიგე.

...შენ თუნდა ბედი დაარქვი, თუნდა შემთხვევა, — რა არი, კატო, ამ ქარში რომ ჰფენ თეთრეულს, ხვალე გამოიდარებს და — ჩავძახე აივნიდან დაბლა სართულის მეზობელს.

— აბა, ხვალე რომ არა მცალიან, რა ვქნა! — მიპასუხა კატომ, საბნის შალითა სიგანეზე დაფინა და იმდენი სამაგრი გაუკეთა, ქარი ვერაფერს დააკლებდა. დაჰბერა ქარმა, შალითამ დაალო რომბის პირი და გაიბერა, მერე ამოისუნთქა და ფერდი ფერდს მიეკრა.

...მერე თვალთ დამიბნელდა, ეზოში წივილ-კივილი ატყდა, გონს მოვედი, მწუხარების წიოკობა არ იყო, გადავიხედე, კატოს ფრთხილად ამოჰყავდა გაბერილი შალითიდან ჩვენი მეხუთე სართულის მეზობლის წლინახევრის ბიჭი ფარნაოზი. ბავშვი არ ტიროდა, რად უნდა ეტირა, ბიჭი გაძვრა აივნის რიკულში, ქარი მიეგება, შალითა გაბერა და ბიჭი ჩაანანავა შიგ. დედამისი გონს რომ მოვიყვანეთ, ისეთი ღრიალი აუტყდა, ძლივს-ღა გავაჩერეთ. რაღაცა კეთილმა ძალამ გადაარჩინა ის მაიმუნიცა და მისი ოჯახიც. ღმერთმა აადღეგრძელოს კეთილი სული ყველას შვილს!

ახლა მხოლოდ კარგზე უნდა ვიფიქრო, მხოლოდ კარგზე... აი მაშინ, რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ბიჭი ათ კლასს ამთავრებდა. ატესტატების მიღების დღე იყო. კლასის ხელმძღვანელმა შეგვყარა მშობლები. ჩემ შვილზე რამდენი კარგი სიტყვა თქვა! ან რა ნიჭიო, ან რა ყოფაქცევაო, მერე...

არ მეფიქრება კარგი და რა ვქნა, საჭიროა ნერვების დაჭიმულობა შევანელო. ახლა მე უნდა ვიმღერო. „მიმღერე რამე, თუნდაც უკვე ათასჯერ ნამღერი“. რა არის ახლა ეს? სიმღერის გარდა ყველაფერია. ეს რა ხმაა, — სიმღერა გულმა უნდა თქვას, დაძაბულ გულს რა სიმღერას ათქმევინებ.

...გამოცანები გვიყვარდა ბავშვობაში. ერთმა გამოცანამ ყველაზე მეტად დაგვაფიქრა. „ყველაფერი გულით ხარობს, ერთი — უგულოდაო“. რა უნდა იყოს ის, რაც უგულოდ გაიხარებს? მერე დედაჩემმა ღუმელში ცეცხლს გამოუჩხრიკა და ააგუგუნა. აი, რა ყოფილა, მარტო ცეცხლია, რომელსაც გული უნდა გამოლადრო, თუ გინდა ააგუგუნო. ცეცხლი უგულოა. გულის მაგივრობას ჰაერი უწევსო — აგვიხსნა დედაჩემმა. მაშინ ჩვენ რა გვესმოდა ყანგბადისა.

— გძინავს, თამრო! ზარის დაურეკავად შემომეხმაურა ჩემი კარის მეზობელი ნატო. გავაღე კარი შეშფოთებულმა: რამ შეაწუხა ნატო, რომ ამ შუაღამისას...

— რა ვქნა, ქერქში ველარ დავტეულვარ, რომ არ ამოვყარო ჩემი ჯავრი, ამაღამ გამაგიჟებს.

— რა იყო, რა მოხდა, ადამიანო მეთქი, — ვკითხე.

...ერთი ძველი ამხანაგი შეხვედრია ნატოს ქუჩაში, მოუკითხავთ ერთმანეთი. ნატოს გულწრფელად ულაპარაკნია თავისი ოჯახის ამბავი: გოგო გავათხოვეო, დიდმა ბიჭმაც დაამთავრა სწავლა და მუშაობს, ჯერ არ დაქორწინებულაო, ეს პატარა ძალიან მაჯავრებსო... როგორც იქნა დაამთავრა საშუალო სკოლა და ახლა აღარც სწავლას უდებს გულს და აღარც მუშაობას, აჰყვა უსაქმურებსაო. იმ ამხანაგს უთქვამს: — ჰო, მეც გავიგე მაგისი უხეირობის ამბავი, რა უნდა მაგ ოხერსაო, წაიტეხავს კისერს და ციხეში გამოლპება, თავის თავსაც დაღუპავს და შენცაო. ჩემმა შვილმა რომ გამიბედოს ასეთი რამე, ცოცხალს არ გავუშვებო. ჩემი სიტყვა ჩემი ბიჭებისათვის კანონიაო.

სწყენია ნატოს, ისე სწყენია, რომ...

საშინლად იყო აღელვებული იმ ამხანაგზე. რა იცის, რანი გამოვლენ მაგის შვილებიო. ჯერ ხომ პატარები არიან. რა იცის, რომ ჩემს შვილზე უარესები არ იქნებიანო. „კანონია ჩემი სიტყვა იმათთვის!“ — ლაპარაკს აჯავრებდა ნატო. ჩემი ბიჭი... და ამოუშვა ნატომ ტირილი.

— კარგი, ქალო, შენც როგორ აჰყოლიხარ იმის ლაპარაკს. მაჭარია ბიჭი დუღს, დადუღდება და კაცი იქნება. ე, შენ თვალწინ არ გაიზარდა გოგია? ხომ გახსოვს, რა დღეში იყო მაგის დედა. რა იყო, რომ მაგის ხელმა არ გააფუჭა. მერე აბა ჯარი, აბა ცოლშვილი და, აბა ეხლა იკითხე მისი ავტორიტეტი სამსახურში! ნატო დამშვიდდა. ჩავარდება ჭკუაში, აბა რაა! — თვითონაც მიეშველა თავის თავს.

ესაა, აბა! სიტყვა ჰკლავს და აცოცხლებს კიდეც ადამიანს. კარგი ქნა, რომ შემოვიდა, დარდი ამოყარა, თორემ ღამეს თეთრად გაათენებდა ეგ საწყალი და უძილობა როგორია გულისათვის, ხვალ აღარაფრად ივარგებდა, აღარც სამსახურისათვის და აღარც სახლისათვის.

რას იზამ, ძნელია დედობა! იმ ამხანაგმა ცეცხლზე წყლის მაგიერ ნავთი დაუსხა. ეთქვა იმ გასახარებელს: ნუ გეშინია, გენაცვალე, დავაჭკაცდება და შეიცვლებაო. დედა რომ ცუდს ლაპარაკობდა თავის შვილისას, დედა რომ აძაგებდა შვილს... განა იმასაც



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კურორტი „ოქტომბერი“



ექიმი რუსუდან ლომიძე რჩევა-დარიგებებს აძლევს პაციენტებს

ნარკვევი

მე და ჩემს მეგობარს ავტობუსიდანვე დაგვანახეს კურორტის შენობა, რომელიც შერეული ტყით დაფარული მთების ძირას თეთრად მოჩანდა.

კურორტამდე მისასვლელი გზის ორივე მხარეს ვეება ალვის ხეები ჩარაზმულიყო. სიმინდის მოშრიალე ყანებს ირგვლივ ჰაერიც კი გაემწვანებინა. საკმაოდ დაზიანებული გზა ბუნების სილამაზით გამოწვეულ აღფრთოვანებას ანელებდა.

თვალში გვეცა პრიმიტიული სასადილოს შენობა, რომელიც ლამაზ პეიზაჟს აუშნოებდა.

კურორტის ეზოს რცხილის, კაკლის, ნაძვისა და ცხენისწაბლას ხეები ამშვენებდა. შესასვლელს ორმხრივი, მაღლივ მავთულზე ასული, მტევნებით დახუნძლული ხეივანი გასდევდა. თითას ფერი გადაეწმინდა და გიშრისფრად გამოსჭვიოდა, ადესას კი სანახევროდ სიშავე შეჰპარვოდა.

ბაღის შესასვლელთან ლამაზად მოპირკეთებულ აუზში წყალი გადმოსჩქეფდა. ბაღის სიგრძეზე კი ფინური ოთახები გაემწკრივებინათ. ატმის ხეები მწვანე ნაყოფით დამძიმებულიყო. სხვა ყვავილებთან ერთად პირისფერი ვარდისა და მწიფე ჭანჭურის სურნელს გაეჟღინთა ირგვლივეთი.

უნდა ეძაგებინა? ეს ეწყინა დედის გულს! ახლა ნატო კარგსლა ხედავდა შვილისას; — მერე რა, ყველა ერთნაირი ხომ არ არი. ჩემი ბიჭი სხვას ცუდს არ გაუკეთებს, ოჯახს არ შეარცხვენს. აი, სექტემბრიდან... ჩემი ბიძაშვილი პროფტექნიკური სასწავლებლის გამგეა, ერთი აქამდე მომიყვანე და მერე მე ვიციო, მითხრა. წავიყვან. ნახე რა ოსტატს დავაყენებ, გახალისდება თავის ნახელავს რომ დაინახავსო. სტიპენდიასაც მივცემ და გამომუშავების ორმოცდაათ პროცენტსაცო.

...მაშ, ასეთია დედის გული. თავისი შვილის ნაკლი შენზე კარგად იცის, მაგრამ შენ რომ გაამუქებ, ეწყინება.

— როგორ? მარგოს დასაცინი შვილი მყავს? ისეთმა ფურმა დამწიხლოს... რა მოწაფე იყო, როგორ სწავლობდა თვითონ! უჯერებდა ან დედ-მამასა და ან მასწავლებლებს?

— კარგი ფეხით შემოვიდა ნატო, იმისი გასვლა და ჩემი შვილის მოსვლა ერთი იყო.

მოვიდა! შავი დღე დამაყენა, რატომ არ გძინავსო, რად უნდა დამეძინა. ამ სიხარულს ხომ ვერა ვნახავდი. შეკუმშული გულით დამეძინა? სამსახურში თურმე ღია პარტიული კრება გამართულა, ისეთი საკითხი იყო, ღირდა იმაზე დიდხანს კამათიო. იბრაზოს რამდენიც უნდა! მაგრამ სად ეცალა დავისათვის, მივარდა ტელევიზორს და ჩვენი ბინაც მოიცვა მატჩის ხმაურმა. ახლა მეც ბედნიერი დედების მწკრივში ვდგავარ. შეკუმშული გული გამეშალა, დაისვენა გულმა, სიხარული ასვენებს გულს. გაჯავრდეს, ეპატიება. როცა შვილი ეყოლება, მაშინ გამიგებს. მაგან რა იცის, რა მძიმეა დედობის ტვირთი, როგორა ვართ ოთხად მოკაკული ამ ტვირთის ქვეშ, როცა სადარდო მაქვს, როცა მიჭირს!

ქვეყანას ლვიძავს, მე და ჩემი შვილიც ჭერქვეშ ვართ. არც მტკივა რამე და არც არაფერი მაწუხებს. დიდი ბედნიერებაა დედობა, დღესასწაულია, ზეიმია, შვილები კარგად რომ გყავანან, სულ კარგად რომ მიდის მათი საქმე, დედისაგან მარტო შრომას რომ მოითხოვენ შვილები, სულ რომ აქებენ შვილებს და მარტო კარგი რომ გვესმის მათი.

ცხოვრება ბრძოლააო, ამბობენ, უნდა იბრძოლო, რომ სანაქებო შვილები გყავდნენო. კი, როგორ არა — ვიბრძოლებ. ეგრე ბრძოლაში დავლევ წუთისოფელს.

ძნელია დედობის ტვირთი!

რა, მამობისა ადვილია?

...ტროლეიბუსი გაჩერდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირდაპირ. აბრიალებული ახალგაზრდობა ირეოდა. პირველი სექტემბერი იდგა.

— მოგიკვდეს მამა, შვილო! — ჩაიდუდუნა ჩემს გვერდით მდგომმა შუახნის კაცმა. რა სჭირდა იმ კაცს? გული სტკიოდა, რომ მისი შვილი პირველ სექტემბერს ამ სტუდენტობაში ვერ გაერია? თუ რა?

თითქოს ახლაც მესმის იმ კაცის ამოკვნესა.

— როგორა ხარ, დედი? — მკითხავს ხოლმე ჩემი შვილი.

— რა კითხვა უნდა, — ვუპასუხებ ხოლმე, — თუ შენ კარგად ხარ, მაშ მეც კარგად ვყოფილვარ!

წარმოსადეგი ვაჟკაცი მოგვიახლოვდა და მოგვესალმა:

— გამარჯობათ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ამ შენობის მეორე სართულზე მიბრძანდით, პირველყოვლისა, ექიმს ეჩვენეთ. იქვე, გვერდით ოთახში, საგზურები ბუღალტერს ჩააბარეთ, მერე დიასახლისს მიაკითხეთ, თეთრეულს მოგართმევთ და საწოლებსაც მიგიჩენთ — სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ზარის ხმა გაისმა.

— სადილობის ზარია. ნამგზავრი ბრძანდებით, გირჩევთ, ჯერ ისადილოთ, შემდეგ კი წესრიგში მოიყვანოთ თქვენი საქმეები. — იმ დღესვე შევიტყვეთ რომ ჩვენი კეთილი მასპინძელი კურორტის დირექტორი ჯიმშერ ბუიშვილი ბრძანდებოდა.

— როგორ მოგიხდა აქაური მყრალი წყალი, ეთერ?

— მა, ვერა მხედამ ესმავ, რო გაფრენილ ქათამ დავეწევი? განა ეგრე მოველ ან განა პირველათა ვარ შენსავით! დახლართული და ტკივილებისაგან გაგიჟებული მოველ, ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩვენ მკურნალ რუსუდანსა, მამარჩენს, გამასწორებს და ჩემ ოჯახში დამაბრუნებს. ეგ რო არ იყოს, რა მეშველებოდა, ქალო! წლეულ ვიხარბე,, ოთხი ჰექტარი მაქ გაპიროვნებული. ვაიშავიდღით მოვითავე სამუშაოები. ვეშურებოდი აქ მოსვლას, რო რთვლისთვინ მაინც კარგათ ვყოფილიყავ, იმოდენა ყურძენ დაკრეფა არ უნდა?!

— მარტო შენ კი არა, — გამოეპასუხა მეორე ხმა, — აბაზანებმა მიშველა თუ რუსუდან ექიმის სიკეთემ, მე თვითონაც არ ვიცი, მუხლის თავში და ქუსლებში მიკეთებს თავისი ხელით ნემსებს. ჯერ შვიდი აბაზანა მივიღე და ტკივილებმაც გამიარა, ჯოხიც გადავაგდე. მარტო ის მიკვირს, ყველას ეგრე ერთნაირად როგორ ეფერება და ანუგეშებს. დილის რვა საათიდან, ხან ღამის პირველამდე კაბინეტშია.

— ბარაქალა, მაგის, ქალობას, — ლაპარაკში ჩაერია მესამე ხმა. — ჯოხები აქ იმდენმა გადაყარა, ერთ ზამთარ შეშად მეყოფოდა. შარშანწინ აქ ერთი გურჯაანელი ქალი იყო, ექიმებმა თურმე ხელი აიღეს და მაგან მაარჩინა.

— რაღა შორს მიდიხართ, — გადმოერანა მეოთხე ხმა. — აგერა, მოხუცი რო გადის კარებში, რუსთავიდანა ყოფილა, ორ ჯოხზე ჩამოკონწიალებული მოვედიო. პენსიიდან რაც გადავარჩინე, 280 მანეთი მივუტანე და ვუთხარ, ექიმო, მუხლს ქვემოთ ფეხები ჩემი აღარ არი, მამარჩინე და ერთ ამდენ კიდე შაგიქუჩებმეთქი. არ აუღია. — ბატონო მიხეილ, მე თქვენი კაპიკიც არ მინდა, გჯეროდეს, უმაგისოდაც ცდასა და ყურადღებას არ მოგაკლებო. ან ეგ რად გინდა, როცა ვინმე აქაური ხილს მიართმევს, ავადმყოფებს გვირიგებს ხოლმე.

უნახავად განვიმსჭვალეთ ექიმ რუსუდანისადმი პატივისცემით. სადილის შემდეგვე შევედით რუსუდან ლომიძესთან. შუახნის ქალმა სათვალის ზემოდან გადმოგვხედა, წამოდგა, გაგვიღიმა და მოგვესალმა:

— რით შემიძლია გემსახუროთ?

— ექიმო, მარცხენა ფეხი მაწუხებს, — შეჩივლა ჩემმა მეგობარმა.

დიდხანს სინჯავდა ქალბატონი რუსუდანი. მე კი მას ვაკვირდებოდი: საშუალო სიმაღლისაა, მკვირცხლი მიმოხვრა აქვს და თეთრ ხალათშიც კი იგრძნობა მისი ტანის სიმკვრივე. ჩამოქნილი ფეხები შიშველი წაუდგამს „საბობებში“, ოვალურ სახეზე კოსმეტიკის კვალი არ ეტყობა, დიდრონი თვალები რატომღაც ორფერი აქვს: მუქი თაფლისფერი და, როცა სახეზე რალაც ჩრდილი გადაუვლის, ჩაუშავდება. ღიმილის დროსაც კი იგრძნობა, რომ მის სულში სევდას შეუღწევია, მისი ხმის ტემბრი, სმენისათვის ძნელად მისაწვდომი, ოდნავ გაბზარული ლითონივით ჟღერს.

— თქვენ ქრონიკული რადიკულიტი გაქვთ და საჯდომი ნერვის ანთება. ხვალ ანალიზებს გაგიკეთებენ და თუ „როე“ მაღალი აღმოგაჩნდათ, აბაზანაში ვერ ჩაგიშვებთ. ვეცდები წამლებით ჩაგიქროთ ანთება და გაბანაოთ, — თქვა და მე მომიტრიალდა. გასინჯვის შემდეგ დამაიმედა, რომ ათიოდე აბაზანის შემდეგ ვიცეკვებდი.

ბუღალტერმა თამარ სეფაშვილმა დიასახლის ეთერ ჭუმბურიძესთან მიგვაცილა, რომელმაც ქათქათა თეთრეულით გაგვიწყო საწოლები. აქ არც სულიერი საზრდო აკლიათ: კულტმუშაკი ციცინო ახალაური როიალს უკრავს, შემოაქვს კინოსურათები, „ფინჯან ჩაიზე“ საღამოებს მართავს და არის ერთობლივი მხიარულება. ტელეგადაცემებსაც ესწრებიან.

— გამარჯობათ! — მომესალმა მოხუცი მეეზოვე თომა ზეინალოვი. — ამ კურორტის პირველი დირექტორი მე ვიყავი. ორი აბაზანა მქონდა და ურმებით მოსულ ხალხს ვაბანავებდი. მერე ეს შენობები ჩადგეს, დირექტორიც დანიშნეს და ექიმებიც გამოგზავნეს. მე, როგორც ხედავთ, ნელ-ნელა მეეზოვემდე, ჩამომაქვეითეს, მაგრამ აქაურობას ვერ შეველიე. ამ ხეხილსა და ხეებს რომ ხედავთ, ჩემი დარგულია.

თომა ძიას დიდი მადლობა მოვახსენე ასეთი საშვილიშვილო საქმისათვის...

კურორტს კარგა მოზრდილი ნაკვეთი აქვს შემოფარგლული. კარგი იქნებოდა დამხმარე მეურნეობა ჰქონოდა. აღარ მოუწევდათ უხახვო და უმწვანილო კერძების კეთება. ავადმყოფებისადმი რუსუდან ექიმის მზრუნველობა უსაზღვროა, კურორტ „ოქტომბრის“ ბევრ ხარვეზს ავიწყებს ის დამსვენებლებს!

თინა მირზაანელი

---

ლინა ბარათაშვილი

## იავნანაო

იავნანაო,
ჩემს ტკბილ
ოცნებებს
ავგაროზივით
ზედ გულზე
გკიდებ,
ფეხბედნიერო,
ქუდბედნიერო,
დახვალ,
დადიხარ
კიდიდან —
კიდე.
აფეთქებული
ატმის ტოტივით
ანთებულ
ნატვრას უპოვე
ზღუდე,
მოდი,
გამხადე
შენი ღირსი და
ამ ჩემს ჭერქვეშაც
დაიდე ბუდე.
და დამიკვებე
აკვნის ჭრიალი
უმანკო ღიმი,
ღუღუნი ტკბილი,
შენ ამიშენე
ზღუდე მომავლის
შენი ჰანგივით
მყარი და
თლილი.
ქუდბედიანო,
შენს ღილკილოებს
ჩემს ოცნებითაც
მორთავდე ნეტა,
და გამიმკვეთრე
ნახათუთარი
უხმო, უბგერო
ძახილი:
დ ე დ ა!
ჰანგო სიცოცხლის
ჩემკენ მომავალს,
გარიდოს ბედმა
წვიმა და ქარი,
თუ იავნანა
არ ვიგალობე,
მაშ, რატომ
მქვია
მითხარი, ქალო?
იავნანაო,
ატმის ტოტივით
ანთებულ ნატვრას
უპოვე ზღუდე,
მოდი, გამხადე
შენი ღირსი და
ამ ჩემს ჭერქვეშაც
დაიდე ბუდე.





## დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისათვის

# ფრონტის წინა ხაზზე

კრასნოდარისათვის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. გერმანელებს „ცისფერი ხაზი“ აუღებელ სიმაგრედ გადაექციათ და ცდილობდნენ საბჭოთა ჯარები შავი ზღვისაკენ არ გაეშვათ. ყოველი მტკაველი მიწისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებები გაჩაღდა. საბჭოთა ჯარები წინ მიიწევდნენ და გერმანელებს პოზიციებს პოზიციებზე ართმევდნენ. 1943 წლის ივნისის შუა რიცხვებში გააფთრებული ბრძოლები გაიმართა ბულკოვო-პროტიკის მიმართულებით. აქ 302-ე დივიზიის 873-ე ლეგიონის სანიტარული ბატალიონის შემადგენლობაში პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, მედიცინის უმცროსმა ლეიტენანტმა რუსუდან აბულაძემ.

გადახდილი ბრძოლის შთაბეჭდილებაზე რუსუდან აბულაძე თელავში დედას წერდა: „ჩემი სამხედრო ნაწილში მოსვლის პირველსავე დღეს ჩავები ბრძოლაში, დილაადრიან ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. არე-მარე ჯოჯოხეთად გადაიქცა, გაზაფხულის კაშკაშა ცა გაშავდა, საარტილერიო და საავიაციო ბომბები სიკვდილს თესავდა. გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ მტერს ვძლიეთ და დამპყრობლებთაგან გავათავისუფლეთ დიდი დასახლებული პუნქტი — ბულკოვო-პროტიკის ტერიტორია. ერთი დღის ბრძოლების შედეგად წინ წავიწიეთ ხუთი-ექვსი კილომეტრით. ამ ბრძოლების დროს მე, როგორც ექიმმა, 42 დაჭრილ მებრძოლს აღმოვუჩინე დახმარება და სიცოცხლე შევუნარჩუნე“.

გერმანელ ფაშისტთაგან კრასნოდარის მხარის შავიზღვისპირა ტერიტორიის გათავისუფლების შემდეგ ახალგაზრდა ექიმი დამპყრობთა წინააღმდეგ მოქმედ ნაწილებთან ერთად მოწინავე ხაზზეა და სამხრეთ უკრაინისა და დონბასის გამათავისუფლებელთა სიცოცხლეს დარაჯობს. აქ გამოჩენილი გმირობისათვის მედიცინის სამსახურის ლეიტენანტს მკერდი დაუმშვენა პირველმა ჯილდომ — მედალმა „საბრძოლო დამსახურებისათვის“. მალე ახალგაზრდა ექიმი ნაწილის საველე ჰოსპიტლის ექიმ-ორდინატორად დაინიშნა. იგი ომის დამთავრებამდე საბჭოთა მებრძოლების გადარჩენისათვის იღვწოდა. 1943 წლის ექვს ნოემბერს კიევისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის რუსუდან აბულაძე წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს. 1943 წლის 13 ნოემბერს მან დედას მისწერა: „ვიბრძვით უკრაინის მიწა-წყლის გათავისუფლებისათვის, ხშირად უძილო კვირეებსაც ვატარებთ, შეტევის დროს ორ-სამ მაგიდაზე მიხდება დაჭრილებისათვის ოპერაციების გაკეთება, ზოგჯერ დღე-ღამეში 180-200 ოპერაციას ვაკეთებთ, არ ვზოგავთ სიცოცხლეს, რათა დაჭრილ მებრძოლებს აღმოვუჩინოთ დახმარება, რომ კვლავ მწყობრში ჩავაყენოთ და მტერი გავანადგუროთ“.

რუსუდან აბულაძე ბოლომდე ფრონტის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდა, მონაწილეობდა დასავლეთ უკრაინის გათავისუფლებისათვის, იბრძოდა პირველი უკრაინის, პირველი ბელორუსიის, მეოთხე უკრაინის ფრონტებზე, პოლონეთის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ პომერანის გათავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა რუსუდანმა ბერლინისათვის წარმოებულ ბრძოლებში. საჰაერო დაბომბვისაგან მიწასთან იყო გასწორებული საველე ჰოსპიტალი. მის მოწესრიგებამდე ღია ცისქვეშ უხდებოდა დაჭრილთა მიღება და რთული ოპერაციების ჩატარება. ბრძოლის მოწინავე ხაზზე დაჭრილთა დახმარებისათვის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

— 1945 წლის ორი მაისი ჩემთვის ყველაზე დაუვიწყარი დღეა, — ამბობს სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ფრონტელი ექიმი, — ვზეიმობდით ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას. 2 მაისს, დღის 12 საათზე ფრონტის სანიტარულ ნაწილში გამომიძახეს და მითხრეს საბრძოლო დავალების შესასრულებლად მოემზადეო. საღამოს 7 საათზე სადესანტო ნაწილი ჩეხოსლოვაკიისაკენ მიიჩქაროდა, 3 მაისს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩავებით ბრძოლაში და ერთი კვირის გააფთრებული ბრძოლების შედეგად გავათავისუფლეთ ჩეხოსლოვაკია.

ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მებრძოლებით სავსე სამი ეშელონი გამოემართა გერმანიიდან თბილისისაკენ. მისი მეგზურობა რუსუდანს მიანდვეს. 1946 წლის თებერვალში დემობილიზაციით დაბრუნებული ექიმი კვლავ ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგა. დღეს ის თელავშია, მშობლიურ ქალაქში, სადაც აგერ უკვე სამათეულ წელიწადზე მეტია, რაც ენერგიის დაუზოგავად შრომობს. ახლახან დაბადების 60 წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავაც მხნედ ასრულებს მკურნალის, კომუნისტის და საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებული მუშაკის მოვალეობას.

ვ. ლაგაზიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საჭიროა, რომ სკოლაში ლაპარაკობდნენ არა მარტო კომუნისტური მორალის თემებზე, არამედ ბავშვებს ასწავლიდნენ მის შესაბამის ქცევასაც. სწორედ ამისათვის არის საჭირო უფრო აქტიურად განვავითაროთ თვითმმართველობითი საწყისები სასკოლო კოლექტივებში. ცხადია, — მასწავლებელთა გონივრული დახმარების მეშვეობით პიონერული რაზმეულებისა და სკოლის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არ უნდა იყოს არც „კაზიონურობა, არც მოწყენილობა".

კ. უ. ჩერნენკოს სიტყვიდან
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. 1984 წელი.



# 34 წელი პიონერებთან

...გაგრაში ნინოშვილის ქუჩას ვინ არ მიგასწავლით, შეგეკითხებიან კიდეც, — პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ხომ არ მიბრძანდებითო. როზა იროდიონოვნა (ასე მოიხსენიებს დიდ-პატარა მას პატივისცემით აფხაზეთში) ახლაც იქ არის!

...რატომღაც მისი სახე დამიდგა თვალწინ, როცა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ გაფართოებულ ბიუროს სხდომაზე ოთხი ყმაწვილის საკითხი წყდებოდა.

— ადამიანი დამნაშავედ არ იბადება! — იმ დიდ დარბაზში ხმამაღლა თქმულს მაშინ თითქოს გაგრის სანაპირომ მისცა ექო. როზა ჯოლოგუა გავიხსენე კი არა, თითქოს იქვე იჯდა და ყველაფერს ისმენდა... შემდეგ, ვერ მოითმინა, ტრიბუნაზე ავიდა და იმ ოთხი ბიჭის მახლობლებს, აღმზრდელებს ერთი მისებურად შეუძახა, ეს როგორ დაგემართათო და დარბაზში მსხდომთ თავის აღსაზრდელებზე, ცელქებზე და ონავრებზე, ძნელადაღსაზრდელებზეც მოუთხრო; მისი ნაამბობი მუდამ ცხოვრებისეულ ეპიზოდებისაგან შედგება.

არ დაუჯერებდნენ? საკუთარ პასპორტს მოიშველიებდა, შიგ საკუთარი ხელით ჩაწერილ თორმეტი ყმაწვილის გვარს ჩამოთვლიდა,. იტყვით: რა უფლებითო?! ის ამ შეკითხვას აინუნში არ ჩააგდებს და მოკლედ მოგიჭრით — ყმაწვილები მრუდე გზას ავაცდინე; საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვარო!

...მისი და მისი აღსაზრდელების, ყოფილი ძნელადაღსაზრდელების, სკოლისგარეშე დაწესებულების აქტივისტების ნაამბობით შეიძლება ამაგდარიც წარმომეჩინა.

„...ერთ წელს ზღვისპირა ქალაქში ბავშვების ცელქობამ ზომას რომ გადააჭარბა, იქნება ფარიკაობით დააინტერესოთ — უთხრეს. თვითონაც სპორტის ამ სახეობაში უკვე რესპუბლიკაში ცნობილს, იმ დროს კომკავშირის გაგრის რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგეს.

მისი პირველი შეხვედრა ჯოხებით შეიარაღებულ მოკენწლავე-მოჩხუბარ ბიჭებთან ზღვის სანაპიროზე მოხდა. აბა, გამეჯიბრეთო, და თვითონაც ჩაერთო მათ ბრძოლაში. ბიჭებმა იქვე აღიარეს, ნამდვილი მუშკეტერი ყოფილხარო. მან კი „მუშკეტერები" პიონერთა სახლში მიიყვანა და ხელთ ნამდვილი დაშნა მისცა.

როზა ჯოლოგუას უყვარს ქუჩა, სადაც ბიჭები რაინდულად იქცევიან, ისარივით გამართულნი დადიან, რომელთაც შეუძლიათ მწყობრში ფეხის აწყობა, სუსტის დაცვა... ჰოდა, პირველ საკავშირო სპორტულ თამაშებში ზღვისპირზე მოჩხუბარმოკენწლავე ბავშვებიდან სამმა შავგრემანმა გაგრელმა ბიჭუნამ მიიღო მონაწილეობა: — პაატამ, არგუნმა და ავეტისმა.

სხვა სამუშაოზე გადასვლაზე და საკუთარი ოჯახის შექმნაზე არც უფიქრია, სხვისი შვილების აღზრდას შეალია წლები.

როზა ჯოლოგუა ქალაქ გაგრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატია. ახალგაზრდობასთან მომუშავე კომისიას თავმჯდომარეობს;

...საოცრად გჯერათ ამ პატარა ქალის! დაიღალა ამაგდარი ამ გზაზე? — არა!

ამ გზის ყოველი მტკაველი ბავშვურ ოცნებებთან და გატაცებებთან, საინტერესო ცოცხალ საქმესთან დაკავშირებული გაცოცხლებული ისტორიაა. ამაგდარი ენერგიულად მიყვება ამ კეთილ გზას.

ბავშვობის სუფთა წლები მუდამ თან დაჰყვება ადამიანს!

— პიონერებთან მუშაობა ყველას საქმეა, — ითქვა ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური კრების მაღალი ტრიბუნიდან.

— „იშვიათი სულიერი თვისებები უნდა ჰქონდეს მომადლებული ყოველ პიონერულ მუშაკს, რომელსაც ჩვენ სამართლიანად მივიჩნევთ იდეოლოგიური ფრონტის აქტიურ მებრძოლად. ბავშვებთან მხოლოდ მოწოდებით შეიძლება იმუშაო, ხოლო თქვენ მარტოოდენ კი არ მუშაობთ, არამედ სულდგმულობთ თქვენი აღსაზრდელების ინტერესებით, საზრუნავ-საფიქრალით. მომადლებული უნდა გქონდეს უდიდესი ნიჭი, სწორედ ნიჭი, ულევი სიკეთე, რომ ფაქიზად აღიქვა ბავშვის განწყობილება, მიაგნო იმ ერთადერთ გზას, რომელსაც მისი გულისაკენ მიჰყევხარ, რომ შეძლო აღანთო იგი, გაუღვივო ფანტაზია პატარა წითელყელსახვევიან მამულიშვილს, ჩააგონო მას კეთილი, ამაღლებული გრძნობები და სპეტაკი აზრები". ამ სიტყვებით მიმართა პიონერ-მუშაკთა აქტივის კრების მონაწილეთ ამხ. ე. შევარდნაძემ, რომელსაც როზა ჯოლოგუაც ისმენდა;

...დღეს პედაგოგიკის რომელი სფეროც არ უნდა ავიღოთ, მთავარია ადამიანის პიროვნების ფორმირება; ამის შესახებ გარკვევით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე, რომელმაც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითად მიმართულებათა საკითხი განიხილა.

პლენუმზე განისაზღვრა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის როლი და ადგილი, ითქვა იმის შესახებ, რომ ამ ორგანიზაციის გავლით მრავალმა თაობამ გაიარა ცხოვრების საინტერესო გზა ვინ იცის, ამ გზაზე — მის რიგებში რამდენი მამაცური და სამშობლოსათვის, პარტიისათვის თავდადებულთა გული გამოიწრთო. ამის უამრავი მაგალითია ცნობილი ყველა პერიოდის საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. ჰოდა, 34 წელი არც ისე ცოტა დროა როზა ჯოლოგუას ნორჩ ლენინელთა პიონერული კომისრის მაღალი და ამაყი სახელი დაემსახურებინა.

პირველი, რაც ახლა მას აღელვებს, პიონერთა სახლის შენობაა, რომელიც უკვე ვერ აუდის გაზრდილ მოთხოვნებს. გამოცდილი აღმზრდელის ალღო კარნახობს, რომ ყველა პრობლემის გადაჭრაში სკოლის ახალი რეფორმა დაეხმარება. ამაგდარის განვლილ გზაზე ხომ ყოველთვის მოზარდის პიროვნების, მომავალი კომუნისტის აღზრდა იყო უპირველესი საზრუნავი. ამ გზას მიჰყვება დაუღალავად, შეუპოვრად როზა ჯოლოგუა!

ნათელა ფაილოძე

ეთერ ბუბუშვილი

# ცეკვავს ნინო ანანიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბალეტო კლასიკის რთული ხელოვნება ყოველთვის ბადებს შედარებით ასოციაციებს წინამორბედ შემსრულებელთან. მეტად დაუნდობელი და ძლევამოსილია „უფროსების“ ავტორიტეტი, მაგრამ საკითხავია, საჭიროა კი ამ მიღწევების გამეორება?!

აი, ზუსტად ამაზე გვექნება საუბარი. დიახ, საბალეტო კლასიკა ვერ იტანს „თავისუფალ“ მოპყრობას, იგი თავისი არსით მეტად მკაცრია, მოხდენილი, მოითხოვს ცეკვის ხელოვნების კანონიკურ ნახატს, აკადემიური ნახაზის დაცვას, მაგრამ ეს მისი სიდიადე, სიწმინდე და ამაღლებული სული არ უნდა გადაიქცეს მოსაწყენ ქრესტომათიულ სქემად, არ უნდა დაკარგოს ცოცხალ-მართოლვარე, შთაგონებული საწყისი. ერთი სიტყვით, კლასიკური ბალეტის მოცეკვავე პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს იმ ტრადიციებს და „აღმოჩენებს“, რომლებიც უანდერძეს წინაპრებმა და ამავე დროს უნდა ეძიებდეს საკუთარ ინდივიდუალურ მიდგომას, საკუთარ და მხოლოდ საკუთარ დამოკიდებულებებს იმ სახისადმი, რომელსაც ის ასრულებს. იგი ვალდებულია არ დაკარგოს პიროვნული „მე“, არ აებნეს „გზა“ კლასიკის მკაცრ ხაზებში და მათი წყობის შენარჩუნებით, მიაღწიოს საკუთარ თავისუფლებას.

ეს ვრცელი პრიამბულა იმისათვის დამჭირდა, რომ უბრალოდ მეთქვა: ახალგაზრდა მოცეკვავემ, ნინო ანანიაშვილმა შესძლო ყველა ამ სირთულის გადალახვა და საკუთარი „მეს“, პიროვნულის დამკვიდრება, საკუთარი ადგილის დაუფლება თანამედროვე ბალეტის სამყაროში. რაც შეეხება კიტრის პარტიას მინკუსის ბალეტ „დონ-კიხოტიდან“, რომლითაც იგი წარსდგა ჩვენი მაყურებლის წინაშე — თავისებური „სასინჯი ქვა“ გახლავთ, არა მარტო დამწყებისათვის, არამედ გამოცდილი მოცეკვავისათვისაც კი. და რა გასაკვირია, რომ სპექტაკლის მოლოდინში გვებადებოდა აზრი, თითქოს ნინოსათვის ნაადრევი და დიდად სარისკო იყო ამ პარტიის შესრულება.

ამბობენ, რისკი — კეთილშობილებააო, მაგრამ ეს ანდაზა, რომელიც ზოგჯერ ადამიანის ყოყოჩობას ამართლებს, კარგავს თავის შინაარსს, როდესაც გადამწყვეტი ნახტომისათვის მტკიცე საძირკველია ჩასხმული. კიტრის პარტია ნინო ანანიაშვილისათვის სწორედ ასეთ თავისებურ ნახტომად გადაიქცა.

ამ ნახტომის განსახორციელებლად ნინოს არც თუ ისე ბევრი დრო ჰქონდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს დრო უქმად არ დაკარგულა, ახალგაზრდა მოცეკვავეს ბედმა გაუღიმა, ცხოვრებამ შეახვედრა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ბალერინა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რაისა სტრუჩკოვა! საბალეტო თეატრის ამ ბრწყინვალე ოსტატმა რუსული კლასიკური ბალეტის შესანიშნავი სკოლა გაიარა ცნობილი პედაგოგის ე. პ. გერდტის ხელმძღვანელობით. ახლა რაისა სტრუჩკოვა თვითონ არის პედაგოგი, მდიდარ გამოცდილებას და ოსტატობას გადასცემს ახალგაზრდებს. და აი შედეგიც: ანანიაშვილი კიტრის პარტიაში!

ნინო მისი მისამართით ნათქვამ აღფრთოვანებულ სიტყვებს ისმენს და მოჯადოებულივით შეჰყურებს თავის პედაგოგს. — ჩვენ ისეთი პროფესია გვაქვს, უპედაგოგოდ ვერაფერს მივაღწევთ, — გულწრფელად აცხადებს იგი.

ნინო მართალი გახლავთ, რადგან მარტო პროფესიული კი არა, ეთიკური თვალსაზრისითაც კი, მასწავლებელი ქმნის მოსწავლეს. აქვე უნდა დავძინოთ: ყველა მოსწავლე ერთნაირი როდია, ხშირად მოსწავლეც ამდიდრებს მასწავლებელს, „ეხმარება“ მას. ოღონდ მთავარია ეს კონტაქტი ორგანული იყოს, რომ პედაგოგის ნიჭი და ოსტატობა შემსრულებლის ნიჭსა და ოსტატობას შეერწყას — აი როდის იქმნება სასურველი ჰარმონია.

როცა ნინო ცეკვავს, ეს ჰარმონია სრულად ვლინდება. პირველი, რაც გვანცვიფრებს, მისი ინდივიდუალობაა, რაზეც ზემოთ უკვე ვთქვით. დიახ, მისი კიტრი არავისგან არის გადმოღებული, არავისგან არის „ნასესხები“. ბავშვივით ანცი, ცელქი, ჭირვეული, გულანთებული და ამავე დროს, რბილი, ქალური, უეშმაკო, გულღია — ასეთია მისი გმირი. მე მგონი, ეს გმირი თავისი ხასიათით ძალიან ჰგავს თვით ნინოს. გულისა და სულის მთელი სიწმინდე ჩააქსოვა მსახიობმა ამ რთულ პარტიაში.

— ვცდილობ მოსწავლეს ყველაფერი მივცე, ოღონდ იმ პირობით, რომ „თავისიც“ დამიბრუნოს, — გვეუბნება რაისა სტრუჩკოვა.

პედაგოგის სიტყვების მშვენიერი დემონსტრაციაა კიტრის სახე ნინოს შესრულებით, მან „გაითავისა“ და დაიახლოვა ეს პარტია.

ელეგანტური გარეგნობა, ტექნიკური სრულყოფილება, გაბედული ნაბიჯი, ჩამოქნილი ხელები, კარგად დამუშავებული ტერფი, მაღალი საბალეტო კლასის შესაფერისი ნაბიჯი და ნახტომი! ნინო ანანიაშვილის ამ მონაცემების შესახებ კარგად ილაპარაკა თავის ინტერვიუში მაია პლისეცკაიამ, რომელიც ამასწინათ საქართველოს ტელევიზიის დაკვეთით გაიმართა.

ისევ გადავცეთ სიტყვა რაისა სტრუჩკოვას:

— შრომა კეთილშობილებაა და ნინიკო ხვდება ამას. მან სხვა რამეც იცის: უნდა იცხოვროს და იშრომოს კოლექტივში, პატივი უნდა სცეს ადამიანებს, რომლებიც მის ირგვლივ არიან. ესეც შემოქმედების ნაწილია. ამის გაგება ნიშნავს გაუძლო, დაიმკვიდრო ადგილი კოლექტივში და თანაც ისეთში, როგორიც დიდი თეატრის დასია. ნინომ ოდეტა-ოდილიას პარტია პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ პირველად შეასრულა ჰამბურგში, სრულიად შემთხვევით, როდესაც აუცილებელი გახდა ავადმყოფი კოლეგას შეცვლა. აი, სად გამომჟღავნდა კოლექტიურობის დიდი შეგნება.

— კოლეგების მხარდაჭერა მაყურებლის მხარდაჭერაზე ნაკლები როდია, — ამბობს სტრუჩკოვა და განაგრძობს: ნინო შეიყვარეს დიდ თეატრში, „მიილეს“ მეგობრებმა, კოლეგებმა, გრიმიორებმა, მკერავებმა — მთელმა კოლექტივმა.

ნინომ იცის ამ სითბოს ფასი, და მას ისე ილებს, როგორც ჯილდოს, რომელიც თავისი თავმდაბლობით, სისადავით, უშუალობით, ადამიანებთან ურთიერთობით, მიღწეულის მუდმივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობით დაიმსახურა.

— ნინო თბილისის გასტროლების წინ ძალიან ღელავდა, — ამბობს რაისა სტრუჩკოვა, გახსოვდეს, თბილისში უკეთ უნდა იცეკვო, ვიდრე დიდი თეატრის სცენაზე მეთქი, ვარწმუნებდი მას.

— მე ეს ყოველთვის მახსოვდა, — იღიმება ნინო, — როდესაც სპექტაკლის დღე დადგა, ვცდილობდი თავი დამემშვიდებინა, არ მეფიქრა, რომ თბილისში ვარ! ახლა კი, როდესაც ყველაფერი უკან დარჩა, ჩემთვის ვფიქრობ — ნუთუ მართლა ვიცეკვე თბილისში!

დიახ, ნინო ანანიაშვილმა იცეკვა თავის მშობლიურ ქალაქში, თავისი თანამემამულეებისათვის და უდიდესი, დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ვისურვებდით, ხშირად ჩამოსულიყოს ნინო მშობლიურ ქალაქში! დე, მუდამ ახსოვდეს, ხელოვანისათვის არ შეიძლება კავშირის გაწყვეტა მშობლიურ მიწასთან. ის მას ისე სჭირდება, როგორც ანთეოსს!





ჯ. ლომაძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანური ღირსება

ქუჩაში პატარა ფინიამ რომ შემოგიყეფოს, გეწყინება, ითაკილებ უთუოდ, რაღა მე ამომარჩია და შემომიტიაო, თანაც აქეთ-იქითეც მიიხედავ, ხომ არავინ დამინახაო. თუმც კარგად ხედავ და იცი, რომ ფინია ძაღლია და ძაღლი სხვასაც შეუყეფს...

ადამიანის ღირსება მეტად სათუთი რამ არის. თავმოყვარეობის მარცვალი მეტ-ნაკლებად ყველას აქვს, განურჩევლად იმისა, ვინ ვის თვალში როგორია. ამიტომ არის, რომ ჰუმანური შელახვის უფლებასაც კი კანონი თავისი იურიდიული წესით და რიგით თვით ასამართლებს და სჯის...

მაგრამ უთვალავი წვრილმანებით აღსავსე ადამიანთა ყოფის ნიუანსებში კანონამდე არის ერთი მოხერხებული, მარეგულირებელი ძალა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის საკითხებს აწესრიგებს, აადვილებს, დაუბრკოლებლად ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ეს გახლავთ საქვეყნოდ ცნობილი „კეთილშობილი ქალბატონი“ — ზრდილობა. ადამიანის ხასიათის ეს უმშვენიერესი ფენომენი რომ არა, გაუჭირდებოდათ კანონის მსახურთ და საერთოდ, გაუჭირდებოდა საზოგადოებას!..

თეორიულად ზრდილობის არსი თითქოს ყველას გაგვეგება, მაგრამ, საუბედუროდ პრაქტიკულად მისი დიდი მადლი ყველას როდი გვაცხია.

ხშირად ადამიანები აღშფოთებულნი, კი არა, გაკვირვებულნიც რჩებიან... რატომ მოხდა გაუგებრობა? თანამშრომლებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა ერთმანეთს მიაყენეს შეურაცხყოფა, მოწინააღმდეგენი პოზიციებს არ თმობენ, ორივე მხარე სიმართლეში დარწმუნებულია. გადის დრო... ადამიანები ფიქრობენ, წუხან, განიცდიან, თითქოს ანალიზსაც უკეთებენ თავიანთ საქციელს, მაგრამ არა და არა, უკან არცერთი არ იხევს.

ერთ დაწესებულებაში ღამის მორიგე არ ცხადდება, დაწესებულების ერთ-ერთი პასუხისმგებელი წევრი მორიგეობას ავალებს (კი არ სთხოვს, ავალებს!) უკვე სამსახურისსათებდამთავრებულ, შინ წასასვლელად გამზადებულ თანამშრომელს... და ჩაღდება მწვავე კონფლიქტი. რა მოხდა? რა უნდა ექნა პასუხისმგებელ მუშაკს, ხომ უნდა მოენახა შემცვლელი მორიგე! მაგრამ რა ექნა შინ მიმავალ მთელი დღე ნამუშევარ ქალს (ორივენი ქალები იყვნენ), ვინ იცის, რა აუცილებელი საქმეები ელოდა ოჯახში.

ორივე მხარე გაჯიუტდა, საქმეს კი არაფერი ეშველა... გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც პასუხისმგებელი მუშაკი მიაჩნდათ მართალი. ისეთებიც აღმოჩნდნენ, შინ მიმავალს რომ ამართლებდნენ. მაგრამ ერთსაც და მეორესაც ავიწყდებოდათ მთავარი — ზრდილობა. ეს „კეთილი ქალბატონი“ რომ ჩარეულიყო იმ დროს დავაში, საქმე უთუოდ მშვიდობიანად დამთავრდებოდა. კეთილი საქმისთვის ადამიანს უხეშობით, ძალადობით, სიმკაცრით ვერასოდეს ვერ განაწყობ. განა შეუძლია სიავეს კაცს სიკეთე ჩაადენინოს?

მორიდება და თავაზიანობა ყველგან გვმართებს ადამიანებს, მითუმეტეს, საზოგადოებრივ სარბიელზე, სადაც ათასი თვალი შემოგყურებს, საზოგადოებრივი საქმიანობის პოსტზე მდგომთ ჩვენივე ავტორიტეტის გაფრთხილება გვევალება, ჩვენივე ღირსების დაცვა და ასეთ სიტუაციებში ადამიანის უკეთესი დამცველი არ არსებობს, ვიდრე ზრდილობაა!

ადამიანებს უჭირთ შეურაცხყოფის ატანა თავიანთ კოლეგებისაგან იქნება ეს, ტოლმეგობრებისაგან თუ თვით უფროსებისა-

# ქალი და მიგრაცია

აკაკი კაცაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

უფლებრივად მამაკაცთან გათანაბრებამ ოჯახს მიჯაჭვული ქალი საზოგადოებრივი საქმიანობის ფართო გზაზე გამოიყვანა. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მსოფლიო ისტორიული მონაპოვარი ესეც არის. დღეს არც შეიძლება წარმოვიდგინოთ დიდი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები ქალის მონაწილეობის გარეშე. მასში დაფარული ნიჭი და შემოქმედებითი უნარი ცხოვრების ყველა სფეროში გამობრწყინდა.

სოციალური და მიგრაციული აქტივობა ერთმანეთს აპირობებს და განსაზღვრავს. ამიტომაც ვამბობთ, რომ მოსახლეობის მიზანშეწონილი მიგრაცია საზოგადოების განვითარების აუცილებელი ფაქტორია.

უკანასკნელ ხანებში ქალთა მიგრაცია განსაკუთრებულად გაძლიერდა, რაც ურბანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგი გახლავთ. მიგრაციის მასშტაბების საერთო ზრდამ დაგვანახა წინააღმდეგობა მის ეკონომიკურსა და სოციალურ შედეგებს შორის. მაგალითად, სოფლიდან ქალაქში ახალგაზრდობის მასობრივი წასვლა სოციალური თვალსაზრისით დადებითი მოვლენაა, ხელს უწყობს საზოგადოებრივად აუცილებელი მაღალი კვალიფიკაციის პროფესიების დაუფლებას, კულტურის დონის ამაღლებას, აზროვნების თვალსაწიერის გაფართოებას, ამ დროს, როგორც იტყვიან, პიროვნება ყოველმხრივ ვითარდება; მაგრამ სოფლიდან ქალაქში ახალგაზრდობის მიგრაცია წარმოქმნის სოფლად შრომითი რესურსების მწვავე ნაკლებობასაც, რაც სერიოზულ სიძნელეებს უქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია დიდი ლტოლვა განათლების მიღებისაკენ. საბჭოთა კავშირში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა შორის გაიზარდა ქალების ხვედრითი წონა (1940 წელს — 36 პროცენტი, 1981 წელს — 59 პროცენტი). საგულისხმოა, რომ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის ქალების რიცხვმა ნახევარს გადააჭარბა (1960-61 წწ. — 43 პროცენტი, 1981-1982 წწ. 52 პროცენტი). საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა შორის ამჟამად 57 პროცენტი ქალია. ცხადია, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა უმრავლესობა საცხოვრებელ ადგილგამოცვლილია. ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლისა და შრომის მიზნით მიდის სხვაგან, ხოლო მათ ასეთ გადაწყვეტილებას მშობლები მატერიალურადაც და მორალურადაც ხელს უწყობენ. ეს განსაკუთრებით საქართველოში შეიმჩნევა.

ქალი აქტიურად გამოვიდა საზოგადოებრივი შრომის ასპარეზზე. საქართველოში 1940 წლისათვის მუშა-მოსამსახურეთა შორის 171 ათასი ქალი იყო, 1980 წლისათვის — 902 ათასი, კოლმეურნეთა შორის დღეს ნახევარზე ცოტა მეტი ქალია და თითქმის ნახევარი მუშა-მოსამსახურეთა შორის. 1981 წლისათვის საქართველოში მოღვაწეობდა 10.861 მეცნიერი ქალი. ქალს პროფესიული შრომა მიაჩნია პრესტიჟულად, უფრო დამოუკიდებელია მატერიალურად, მისი ხელფასი ოჯახს ეხმარება. მოსახლეობა დაბალ შეფასებას აძლევს ისეთ პროფესიებს, რომლებიც არ საჭიროებენ უმაღლესი განათლების მიღებას, მაგალითად, არა აქვს მაღალი პრესტიჟი სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პროფესიებს. ყოველივე ეს ქალთა მიგრაციის ხელშემწყობია.

ქალების დამოკიდებულება შრომისადმი, ცხადია, [illegible] ხასიათსაც ატარებს. ადამიანი ამ დროს ამა თუ იმ მოტივით ხელმძღვანელობს. ამასთან დაკავშირებით ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტოს სამუშაო ადგილის გამოცვლასთან ერთად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლაც.

სოციალური მიზეზები სულ უფრო მეტად ახდენს გავლენას სოფლის მოსახლეობის მიგრაციის გაძლიერებაზე. მიგრაცია ცხოვრების სარკეა; მასში დაინახავ რატომ და საით მიედინება ხალხის ნაკადი, სად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან. შენიშვნის მიმცემს თუ ფაქტი ხელთ არა აქვს, თუ არ იცის საყვედურის გამოთქმის თავდაჭერილი ფორმა, რაც უნდა სამართლიანი იყოს მისი აღშფოთება, სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღწევს. აქ არ შეიძლება არ მოვიგონო ერთი პატარა ქალაქის (სამტრედიის) ღვაწლმოსილი პედაგოგის ვერა მამფორიას სახე. დიდი ბუნებით დიდი კულტურით უაღრესად მდიდარი ქალი უკიდურესი გაჯავრების დროსაც კი იმორჩილებდა თავის ხასიათს. „დიდყურას მაგონებო“ — მხოლოდ ამ სიტყვებით მიმართავდა გაჯიუტებულ და უდიერ მოსწავლეს და ეს ძალიან იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა. პედაგოგი — აღმზრდელი მაქსიმალურად ცდილობდა არ შეელახა აღსაზრდელთა — ჯერ კიდევ პატარა ადამიანთა ღირსება და თავმოყვარეობა.

ზოგიერთი ადამიანის გულში თავისი „დიდი მე“ ისე ბატონობს, რომ სხვის ღირსებას არად დაგიდევს, სულ ხმაურობს, სულ მუდამ გაჰყვირის, ზოგჯერ — მხიარულად, ზოგჯერ — მკაცრი ტონით, აქაო და „მე ვარო“, გინდათ თუ არ გინდათ, შემამჩნიეთო. ზოგსაც, — „კარგი კაცის“ როლის თამაშით გართულს, უნებლიედ ნამდვილი სახის გამოჩენით რომ ხალხს შეზარავს, — უკვირს, როგორ თუ მე, ასეთ და ასეთ კაცს, არ მიჯერებთ და არ მემორჩილებითო! ასეთი ზნე სჭირდა ერთ ადამიანს, პროფესიით მსახიობს. სცენაზე უზადო პიროვნებად და მორალის მქადაგებლად წარმოგვიდგებოდა, სინამდვილეში კი შეეძლო საოცარი ვულგარული სიტყვებით გამასპინძლება, აყალ-მაყალის ატეხვა და სრულიად უდანაშაულოდ ადამიანებისადმი დიდი მორალური უსიამოვნების მიყენება (აქ მოყვანილი მაგალითები მშრომელთა წერილებიდან ამოღებული ფაქტებია).

დიახ, ნიჭით (მსახიობობა იქნება იგი თუ სხვა რამ) დაჯილდოებულ კაცს, ადვილად შესაძლებელია, აღზრდა აკლდეს, რასაც უდავოდ ერთი ლოგიკური შედეგი მოსდევს: უზრდელი კაცის ბუნება საბოლოოდ ნიჭიერებასაც ჩაუხშობს, რადგანაც ნიჭი სხვა არა არის რა, თუ არა კეთილ ნიადაგზე ამოსული მშვენიერი ყვავილი.

ზრდილობიანი ადამიანი ყოველთვის ცდილობს სხვათა შეხედულებებს, სხვათა განწყობილებებს ანგარიში გაუწიოს, ფაქიზად მოექცეს, არ შეურაცხყოს. ალბათ ყველას გაგვიგონია, რომ იაპონელი მოქალაქე, რაც უნდა დიდი ტკივილით იყოს დასევდილი, ნაცნობ-მეგობრებს მაინც ღიმილით ესალმება — თავისი სატკივრით სხვათა შეწუხებას ერიდება და იმიტომ.

მოგზაურობის დროს შედგენილი შთაბეჭდილებების რვეულიდან ერთი ეპიზოდი მაგონდება: გერმანელ ჭაბუკს ტელეფონის ჯიხურიდან გამოსვლისას, კარი ღიად დარჩა. ამას თვალი მოჰკრა იქვე მდგომმა ბერიკაცმა, სწრაფად მიმავალ ახალგაზრდას შენიშვნა დაადევნა. ყმაწვილი გვიან მოეგო გონს, სანამ ბერიკაცის შენიშვნას ჩასწვდებოდა, უკვე კარგა მანძილით გაშორებოდა ჯიხურს, მაგრამ მობრუნდა, კარი მიხურა და დარცხვენილმა და გაწითლებულმა ბერიკაცის წინაშე ბოდიში მოიხადა.

ერთმა შენიშნა, მეორემ შენიშვნა მიიღო, — იტყვის ამ ეპიზოდზე კაცი მარტივად, მაგრამ ორი ზრდილი ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებამ დიდი ფსიქოლოგიური სურათი შექმნა, უნებლიედ სხვათა ყურადღება მიიპყრო, თავი დაგვახსომა.

ზრდილობა უამრავ კომპონენტს მოიცავს. უპირველეს ყოვლისა კი მოთმინებას, ადამიანის ღირსების პატივისცემას, ღირსება კი სულაც არ ნიშნავს მაინცდამაინც სამეცნიერო ხარისხს, არც თანამდებობას და საერთოდ, არც უმაღლეს განათლებას. ღირსეულია ყველა ის მოქალაქე, რომელსაც შეუგნია ქვეყნად ადამიანის ყოფნის, ადამიანის არსებობის როლი და მნიშვნელობა და, ამდენად, პატივს სცემს როგორც თავის თავს, ისე სხვასაც, ასეთი პიროვნება, საფუძველიც რომ ჰქონდეს, მაშინაც კი მოერიდება ადამიანის შეურაცხყოფას!

**გულნარა სტურუა**

---

არის შრომისა და ცხოვრების უარესი და უკეთესი პირობები.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში მოსახლეობის მოთხოვნილებების ზრდა საერთო კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლების კანონზომიერი შედეგია. მაგრამ, როცა თავს იჩენს წინააღმდეგობანი მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების საშუალებებს შორის, მაშინ მიგრაცია ამ წინააღმდეგობის დაძლევის ერთ-ერთი გზაა.

ქალთა მასობრივმა მიგრაციამ, საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმის მასშტაბების ზრდამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა შობადობის დონის თანდათანობით დაქვეითება. ზოგიერთ სასოფლო რაიონში მიგრაციის გამო „საპატარძლოებისა“ და „სასიძოების“ მწვავე ნაკლებობა შეიქმნა. ახალგაზრდა, რომელიც საცხოვრებელ ადგილს იცვლის, აგვიანებს ოჯახის შექმნას. ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, რომ 18-29 წლის ასაკში მყოფი ქალებიდან, 1979 წლის აღწერის მონაცემებით, თითქმის ნახევარი გაუთხოვარი იყო.

შობადობის შემცირებას საზოგადოებრივ შრომაში ქალის მეტისმეტმა აქტიურმა ჩაბმამაც შეუწყო ხელი. ჩვენს რესპუბლიკაში დასაქმებულ გათხოვილ ქალებში შობადობა სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ქმრის კმაყოფაზე მყოფ არამომუშავე ქალებში, ხოლო 20-29 წლის ქალებში — ოთხჯერ ნაკლები.

ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წლებში რიცხობრივად განუწყვეტლივ მატულობს, რასაც მოსახლეობის აღწერის მონაცემებიც ადასტურებს:

| წელი | ქართველთა რაოდენობა | | |
|---|---|---|---|
| | საქართველოში | საქართველოს გარეთ საბჭოთა კავშირში | სულ |
| 1926 | 1.788.236 | 32,964 | 1.821.200 |
| 1939 | 2.173.560 | 76.040 | 2.249,600 |
| 1959 | 2.600.558 | 91,442 | 2.692.000 |
| 1970 | 3.130.741 | 114.559 | 3.245,300 |
| 1979 | 3.433.011 | 137,989 | 3.570.000 |

ქართველ ქალს ერის გამრავლებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის; მისი ღრმა დედობრივი გრძნობა, ოჯახისადმი ერთგულება და თავდადება, ბავშვების მოვლააღზრდაზე განსაკუთრებული ზრუნვა და პასუხისმგებლობა დაფასებული და აღიარებულია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველმა ქალმა ბოლო ხანებში მეტისმეტად შეამცირა შვილიანობა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ზრუნვას და ყურადღებას რა აკლებენ ყველა ერისა და ეროვნების გამრავლების საქმეს. ყველასათვის თანაბარი პირობებია შექმნილი დემოგრაფიული განვითარებისათვის. იმედია, ქართველი ქალი დააფასებს ამ სახელმწიფოებრივ ზრუნვას, დროულად მოეკიდება ოჯახს და სამ-ოთხ შვილზე ნაკლებს არ იყოლიებს.

როგორც ვნახეთ, მიგრაცია ხელს უწყობს ქალის სოციალურ და კულტურულ კეთილდღეობას, მისი პიროვნების განვითარებას, მაგრამ აფერხებს ერის გამრავლებას. ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში ქალთა შრომისა და ცხოვრების პირობების არსებითად გაუმჯობესების საქმეს. ეს კი ქალთა გაუმართლებელი მიგრაციის შემთხვევებს შეამცირებს, წესრიგს შეიტანს მიგრაციულ პროცესებში.

ზოგჯერ ჩვენს რესპუბლიკაში საჯარო გამოსვლებში იშველიებენ არამართებულ გამოთქმებს: „მიგრაციის შეჩერება“, „მიგრაციის შეწყვეტა“. მოსახლეობის მიგრაცია ბუნებრივ-ისტორიული მოვლენაა, ყოველთვის იყო, არის და იქნება, მხოლოდ საჭიროა მისი რეგულირება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებით და არა ადმინისტრირების გზით.

# ცისფერი „ავაზა“



გავაცოცხლოთ გარდასული სურათი. ჩვენი საუკუნის ათიანი წლები დავაბრუნოთ, თბილისელ პოეტთა ერთ შეკრებას დავესწროთ და მისი მონაწილენი ჩამოვთვალოთ....

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი ნაწილობრივ არის დაბეჭდილი და მთარგმნელის სახელს ხშირად ახსენებენ. მთარგმნელის სტუმრობა ყოველთვის ზეიმურია. სადღაც, ატლანტის ოკეანეში ცურვისას გაეცნო ქართულ პოემას და, გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნებული უმალ გამოეშურა იმ ქვეყნის სანახავად, სადაც იშვა ვეფხისტყაოსანი რაინდის სიყვარულის ამბავი.

რუსი მთარგმნელი სამჯერ იყო საქართველოში და ჩვენს ქვეყანასა და ხალხთან შეხვედრა ყოველთვის აღმაფრთოვანებული იყო სტუმრისათვის. ნაკლები გრძნობით არც მასპინძლები ხვდებოდნენ.

პოემის რუსულად მთარგმნელი, ერთი უპირველესი სიმბოლისტი პოეტი — კონსტანტინე ბალმონტი ხშირად სიტყვას ვერ პოულობდა თავის გრძნობათა გამოსახატავად.. მის პატივსაცემად გამართულ შეხვედრებზე საქართველოს, შოთა რუსთაველის, მისი მშობელი ქართველი ხალხის შესახებ იყო საუბარი. ქართულ ვარდთან მიახლოვება (ვარდად „ვეფხისტყაოსანს“ გულისხმობდა) მოხდა ოკეანეს უსაზღვროების განცდისას, მზის, ზღვის, ვარსკვლავთა, მეგობრობისა და სიყვარულის, მძაფრი ქარიშხლებისა და მკაცრი მღელვარების თანადასწრებითო, ასეთ ვითარებაში ამ ნაცნობობის შთაბეჭდილება დაუვიწყარიაო... ხალხი.. თუ იგი დიადია, ჰბადებს სიმღერას და მსოფლიოს უძლევის სახელოვან პოეტს. რუსთაგან ჯერაც შეუცნობელი იყო საქართველოს რჩეულ საუკუნეთა ასეთი გვირგვინოსანი, — შოთა რუსთაველი, რომელმაც სამშობლოს

მეთორმეტე საუკუნეში დროშად მისცა „ვეფხისტყაოსანი“... როგორც ჰომეროსი არის ელადა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, რუსთაველი არის საქართველო.... მთელს ევროპულ პოეზიაში შეიძლება ვერავის შევადარო პოემა ქართველი შემოქმედისა, თუ არა შუასაუკუნეთა საუკეთესო ზღაპრებს სიყვარულსა და სიკვდილზე... თავისი ბრწყინვალებით დამშვენებული, იგი ხალხის ხსოვნასა და ოცნებაშია დავანებული, როგორც რჩეული ტრფიალი... პოეტი ცეცხლოვანი ოცნებით წარმოსთქვამდა ქებათა-ქებას საქართველოზე..

ქართულ კლუბში კონსტანტინე ბალმონტს და მის მეუღლეს ხვდებიან ქართველი პოეტები. მისი მასპინძლები. აქ არიან სანდრო ყანჩელი თავისი მეუღლით, პაოლო იაშვილი, გიგო დიასამიძე, ტიციან ტაბიძე. მასპინძელთა შორის არის ეკატერინე ამირეჯიბი, მოხდენილი ახალგაზრდა ქალი...

ეკატერინე ამირეჯიბმა მიამბო: „ქართულ კლუბში ვიყავით, მაშინ ახალგაზრდა ქართველ პოეტებთან — პაოლოსთან და ტიციანთან ერთად, ჩვენი სტუმრები იყვნენ ბალმონტი და მისი მეუღლე, იყო სანდრო ყანჩელი, აგრეთვე გიგო დიასამიძე.. აღტაცებული და აღფრთოვანებული ბალმონტი კალამბურებს და ექსპრომტებს აფრქვევდა. სანდრო ყანჩელი ქართული კლუბის წევრებს აცნობდა ბალმონტს. ამ დროს ოვანეს თუმანიანი შემოვიდა თავისი ვაჟით. ქართველმა პოეტებმა თავისთან მოიწვიეს მამა და შვილი თუმანიანები“...

იმ საღამოს კონსტანტინე ბალმონტმა ეკატერინე ამირეჯიბსაც მიმართა ექსპრომტით. რომელიც შემდეგ ქაღალდზე დაუწერია. ადრესატმა ზეპირად იცოდა მიძღვნილი ლექსი. აი ისიც:

Отходя в ночи ко сну,  
В мыслях я тебе шепну,  
Ты почувствуешь меня  
Как касание огня.  
В голубых твоих глазах,  
Как зарница, вспыхнет страх,  
Но не бойся, красота,  
Поцелую лишь уста.

Ты дремля шепнешь: «не тронь!»  
Но играющий огонь  
По тебе скользнет как тень,  
Будешь ты краснеть весь день.

ამ შეხვედრიდან ექვსი წლის შემდეგ ტიციან ტაბიძე წერდა: ახალი ჩამოსული ვიყავით მე და ბალმონტი მოსკოვიდან. ეს იყო დრო სიხარულისა და რევოლუციისა.... ყანჩელის და გიგო დიასამიძის ვახშამზე, რომელიც გაუმართეს ბალმონტს, მე პირველად ვნახე ოვანეს თუმანიანი, რომელსაც სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა თავი. რუსულადაც კი ამბობდა ექსპრომტებს ბალმონტთან ერთად. საგანი ექსპრომტებისა იყო ფაცა ამირეჯიბი,—„ცისფერი ავაზა“.

ფაცა ეკატერინე ამირეჯიბის შინაური სახელი იყო.

კონსტანტინე ბალმონტის შემდეგ ოვანეს თუმანიანსაც მიუმართავს ეკატერინე ამირეჯიბისათვის. იგი ბალმონტს შეჰკამათებია. ადრესატის მოგონებით, თუმანიანს უთქვამს: რუსმა პოეტმა სიზმარეული წარმოგიდგინა შენი მშვენებით, მე კი გიმზერ და შენს სიტურფეს ვეთაყვანებიო.

ბალმონტს უთქვამს, ოვანესმა მაჯობაო.

ეკატერინე ამირეჯიბს ბოლომდე შერჩა თვალების ფერი, რამაც ბალმონტს მასზე ათქმევინა: „ცისფერი ავაზააო“.

ეს „ცისფერი ავაზა“ ამ ორიოდე თვის წინათ გარდაიცვალა თბილისში.

**სოლომონ ხუციშვილი**

# დედააა!

## ჩანახატი

მე არ ვიცი, ვისი შვილი ვარ, ვინ დამბადა, ძუძუ ვინ მაწოვა. არც ის ვიცი რატომ დავსნეულდი, მიმკურნალეს თუ არა, და რითი, როგორ? არ მახსოვს, გამიგონია თუ არა იავნანა, ან ოდითგანვე ცნობილი „ალუ“. დამინახავს თუ არა მომღიმარე და მოსიყვარულე სახე; უცდია თუ არა ვინმეს ჩემთვის ღიმილის მოგვრა. იქნებ ამიტომაც არის, რომ ახლაც კი არავის ვუცინი და არავის შევხარი.

თხუთმეტი წლის შემდეგ, როდესაც 16 წლისა ვიქნები, როდესაც პასპორტის მიღებაზე მიდგება საქმე, იქნებ მოვახერხო ქურდულად ჩავიხედო ჩემს პირად საქმეში, რათა დაბადების თარიღისა და ადგილის ნაცვლად ამოვიკითხო რაიმე ასეთი: „ნაპოვნია შემთხვევით, ტყეში, ეცვა... მშობლებზე არავითარი მინიშნება არ იყო“.

...ჩემი ბიოგრაფია მხოლოდ იქიდან იქნება ნამდვილი, როდესაც ჩვილ ბავშვთა სახლში აღმოვჩნდი და ვინმე მაინც იქნება ჩემი შემხედვარე და ამბის მომყოლი.

აბა, რა ჩემი ბრალია — სუსტი რომ ვარ და ძალიან სნეული, რატომ? — რა ვიცი აბა! იქნებ დედიკო მუცელს იკრავდა, რომ არავის შეეტყო ჩემი მალე დაბადება!? ან იქნებ ის თვითონ იყო მშიერი და მამიკომ არ იზრუნა მისთვის? ან იქნებ მამიკომ უთხრა ჩემზე — მოიცილეო, დედიკომ კი — არაო. იქნებ მამიკომ — არ მინდაო, დედიკომ კი — არც გვჭირდებაო. იქნებ დედიკოს გამოუცდელობით დავსნეულდი ან მამიკო ნასვამი იყო. ამას მე ვერასოდეს გავიგებ. რატომ, და — მოწმე და მთქმელი არავინ არის.

მე ვერც იმას გავიგებ, როგორ აღმოვჩნდი ტყეში, ვინ დამტოვა და რატომ. იქნებ დედიკომ — რომელიც გამწარდა ჩემი მკურნალობით და იმედდაკარგულმა დამდო ტყის პირას, თვითონ კი შორიდან მითვალთვალა — ძაღლს არ შევეჭამე. რას იზამდა შემდეგ: ჩემს ხელში აღებს თვალს გააყოლებდა და დამშვიდდებოდა; თუ უკან გაყვებოდა, რომ სცოდნოდა სად ვიქნებოდი. მაშინ, იქნებ შემდეგ სხვის გვარზე როდესაც გადავალ, მაშინ მაინც გამომიცხადდეს იმ იმედით, რომ ბედნიერებით გავსებულ გულს უფრო შეუძლია პატიება. იქნებ მაშინ მაინც მითხრას — ახლა ყველაფერი გესმის, თუ მაპატიებ... იქნებ მას მართლა არ შეეძლო ჩემი გამოჯანმრთელება!

რომ არ ვიცი!?

მე სინამდვილე მხოლოდ იმ დღიდან მეცოდინება, როდესაც ჩვილ ბავშვთა სახლში აღმოვჩნდი. როცა დამაპურეს, დამბანეს, სუფთებში და თბილებში გამახვიეს, ხელში კამფეტი დამაკავებინეს, ლოგინში ჩამაგორეს და მერე სხვა ბავშვებს მიხედეს — მარტო მე ხომ არა ვყევარ აქ ჩვენც ბევრნი ვართ, და ისინიც. ყველას თეთრი ხალათები აცვია. ზოგი გვაჭმევს, ზოგი გვაძინებს, ზოგი კი ტიტლიკანა გულმკერდით თავის ყურთან ჩაგვიხუტებს მაგრამ... ჩვენ ბევრნი ვართ. ამიტომ მათ ვერ ვინაწილებთ და ვერ ვისაკუთრებთ.

იქნებ, როდესაც წამოვიზრდებით ვინმე ჩვენთაგანს მოულოდნელად გამოუჩნდეს ვიღაც დედა და დაუწყოს დარწმუნება, — შენი დედიკო ვარო. მე კი... აბა ვის რაში დავჭირდები ფეხებდაგრეხილი გოგო!

მე ჯერ ეს შეგნებულად არ მესმის, მაგრამ გული მიგრძნობს. თუ არა და, რატომ მფარავს ასე ნაღველი, რატომ არავის ვუღიმი?!

არა, ვცდები, ერთხელ მახსოვს, გავიღიმე. ბევრ უცნობ და საქმიან ხმებში მომესმა, ვიღაცა — ნაზი, ალერსიანი, ჩუმი წვრილი ხმით ამბობდა — ალუუუ... მერე ლოყაზე თითი ვიგრძენი. მივბრუნდი და მეც გავუღიმე. ნეტა რად გამიღიმა! ლამაზი ვარ, დედიკოსავით, ალბათ და იმიტომ? თუ ჩემი სნეულების გამო შევებრალე?

ნეტა თუ გავიგებ, რომ ეს ჩვენი სახლისთვის უცხო ექიმი იყო, ლილი ექიმი. ნეტა თუ ვინმე მეტყვის, რომ იმ ღამეს მე მას დავესიზმრე — აბა რა, როცა რამეზე ბევრს ფიქრობ, მერე ღამე დაგესიზმრება. ნეტა თუ გავიგებ, რომ მან ჩემზე მეურვეობა ითხოვა და ნება არ დართეს; მისი მეურვე ახლა სახელმწიფოაო. თუ გინდათ, იშვილეთო. მაგრამ, როცა დიდი ვიქნები, ვეტყვი — აბა, როგორ უნდა ვეშვილებინე. თვითონაც მაშინ დაქვრივდა და ორი პატარა ბიჭი გასაზრდელი დარჩა მეთქი, დღისით სახლი გამოკეტილი ჰქონდა. მე კი — განა მარტო ღიმება მეყოფოდა?! მაშინ, დიდი როცა ვიქნები არ გამიკვირდება, თუ გავიგებ, რომ ლილი ექიმი მე მაინც არ მომეშვა სულ თვალყურს მადევნებდა, მიცინოდა, სევდანარევ თვალებს მიჭუტავდა და იმდენი ქნა, რომ გამომაჯანმრთელა.

იქნებ მე ისედაც გამოვჯანმრთელებულიყავი, კარგი მოვლით და კარგი კვებით. მაგრამ, ლილი ექიმი...

იყოს ლილი ექიმი ჩემი მეურვე. მას ხომ ჩემი არაფერი სჭირდება — მე არც სახლი მაქვს, არც კარი და არც ჯანმრთელი ხელ-ფეხი. თუკი შავებშემოსილს, ობლების ანაბარას მას ჩემთვის ღიმილი ემეტა, ალბათ, მეც ვჭირდები მას. იქნებ უხდა ნახოს მასზე მიუსაფარი, რადგან ყოველ ახალ ჭირისუფალს თავისი თავი ყველაზე უბედური ჰგონია!

იქნებ მე მაინც გავიზარდო, ლამაზი და მარდად მორბენალი გოგოც გავხდე. მაგრამ ლილი ექიმმა ხომ მაშინ გამიღიმა, როცა ფეხებდაგრეხილი ვიყავი!

იყოს, რა ლილი ექიმი ჩემი მეურვე!

მე ხომ არავინ მყავს, ვისაც უნდა დედა დავუძახო!

— დედააა!... რად გამაჩინე!?

რად გამწირე...

იყოს, რა ლილი ექიმი...

ინტერვიუ ჩვილ ბავშვთა სახლის უსახელო, უგვარო და ენაამოუდგმელ ბავშვისაგან ჩაწერა

**ნინო ახვლედიანმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევე კიური

# სხივოსანი

ჩემმა მშობლებმა, მკვლევარებმა პიერ და მარი კიურებმა ახალი ელემენტი, რადიუმი აღმოაჩინეს.

მსოფლიო დაინტერესდა, მაგრამ ეჭვი ეპარებოდათ აღმოჩენაში. საერთოდ, მეცნიერები მანამდე არ ირწმუნებდნენ ახალი ნივთიერების აღმოჩენას, სანამ თავისი თვალით არ ნახავდნენ. საკუთარი ხელით არ შეეხებოდნენ, არ გამოიკვლევდნენ და სინჯარაში არ შეინახავდნენ. ამიტომ ჩემმა მშობლებმა მიზნად დაისახეს დაემტკიცებინათ აღმოჩენის რეალობა და წმინდა რადიუმი მიეღოთ.

ბუნებაში რადიუმი უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება. პიერს და მარის სჯეროდათ, რომ მისი მიღება რადიუმის შემცველი ურანის ფისოვანი მადნიდან შეიძლებოდა. ეს კი დიდი რაოდენობით ნედლი მასალის გადამუშავებას მოითხოვდა.

საიდან უნდა მოეტანათ ფული, რომელიც მრავალი ტონა ძვირფასი მინერალისათვის იყო საჭირო? ეს მინერალი ბოხემიაში და იოახიმშტალის საბადოებში მოიპოვებოდა. რადიუმის გარდა მასში შედიოდა აგრეთვე ურანის მარილიც, რომელიც დიდი წარმატებით გამოიყენებოდა შუშის წარმოებაში.

პიერ და მარი კიურებს ბედნიერი აზრი დაებადათ. შუშის წარმოებაში ურანის მარილის გამოყენების შემდეგ მადანში ხელუხლებელი რჩებოდა რადიუმი, სწორედ ის, რაც მათ სჭირდებოდათ. სამრეწველო ნარჩენებს, რომელშიც რადიუმი შედიოდა, ყრიდნენ და ფასი აღარ ჰქონდა შუშის მრეწველთათვის, მარი და პიერ კიურებისათვის კი ის ძვირფასი მასალა გახლდათ. უბრალო ამბავი იყო, მაგრამ მიხვედრას საჭიროებდა.

დედამ თავისი პირველი ცდები ფიზიკის სკოლაში ჩაატარა, სადაც მამაჩემი ასწავლიდა. სკოლის გადაღმა ხის სარდაფი მოჩანდა. სახურავი დაზიანებული ჰქონდა, იატაკი ასფალტისა იყო, შიგ ორი ფეხმომტვრეული სამზარეულოს სკამი, დიდი სკოლის დაფა და რკინის ღუმელი იდგა. აქ უნდა ყოფილიყო მათი ლაბორატორია. სკოლის ხელმძღვანელი წუხდა, რომ სხვა უკეთესს ვერაფერს შესთავაზებდა, მაგრამ კიურები მაინც კმაყოფილები დარჩნენ. უხაროდათ, რომ მადნიანად ქუჩაში არ აღმოჩნდნენ. მადლობა გადაიხადეს ამ კარგი ძღვენისათვის და საქმეს შეუდგნენ.

ავსტრიიდან სასიამოვნო ამბავი მოვიდა, ორივე ფრანგს შეგიძლიათ თქვენთვის საჭირო საწარმოო ნარჩენები უფასოდ მიიღოთ. პარიზში ნარჩენების ჩამოსატანად საჭირო ტრანსპორტის ფულს ჩემი მშობლები თავიანთი მცირეოდენი დანაზოგიდან გადაიხდიდნენ, რადგან სახელმწიფოს დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

ერთ დღეს სკოლის წინ სატვირთო მანქანა გაჩერდა. დაუძახეს კიურებს. ისინი სამუშაო ხალათებით გამოცვივდნენ. მამაჩემი, როგორც ყოველთვის, მშვიდი იყო. დედა გენახათ — სიხარულისაგან აღელვებას ვერ ფარავდა. ხუმრობა საქმე არ იყო, ურანის ფისოვანი მადანი მოიტანეს, მისი ურანის ფისოვანი მადანი! მოუთმენლად გახსნა ტომარა და ცნობისმოყვარემ ჩაიხედა შიგ. აი, ამ ჭუჭყიან მტვრიან მასაში რადიუმი უნდა ყოფილიყო, სწორედ აქედან უნდა მიეღო ახალი ნივთიერება.

სარდაფი მოუხერხებელი აღმოჩნდა, ზაფხულში ცხელოდა, ზამთარში კი ციოდა. ავდარში სახურავიდან წვიმა ჩამოდიოდა. ჩემს მშობლებს კარები და ფანჯრები მუდმივად ღია უნდა ჰქონოდათ, რადგან რეაქციებიდან გამოყოფილი გაზები მომწამლავი იყო. ხშირად აპარატები ეზოში გაჰქონდათ, მაგრამ წვიმის დროს იძულებულნი იყვნენ სასწრაფოდ უკანვე შემოეტანათ.

ჩემი მშობლებისათვის ძველ, უბადრუკ სარდაფში გატარებული წლები მათი ცხოვრების უბედნიერესი ხანა იყო. ხშირად დედა სადილს სარდაფში ამზადებდა, რადგან არ უნდოდა მნიშვნელოვანი სამუშაო გაეწყვიტა. ის დიასახლისიც იყო, დედაც, მეცნიერიც, მკვლევარიც. მძიმე იყო სამუშაო, რომელსაც დედა ასრულებდა. ხანდახან მთელი დღეობით ერთ ადგილზე იდგა და გრძელი, მძიმე რკინის ჯოხით ცხელ მასას ურევდა. ასე ნახავდით მას ეზოში, თავის ძველ სამუშაო ხალათში გამოწყობილს. რაც შეეხება მამას, ისიც დაუღალავად მუშაობდა. მან საფუძვლიანად გამოსცადა რადიუმის თვისებები და შეისწავლა ახალი ლითონი.

მაგრამ რადიუმს არა და არ სურდა თავისი საიდუმლოებების დათმობა. ასეთ დაძაბულ ჯაფაში მიდიოდა თვეები, წლები. დიდი სიძნელეები იდგა მათ წინაშე. ხანდახან მამას ღონე გამოელეოდა და ბრძოლის უნარიც წაერთმეოდა. რამდენჯერმე დააპირა რადიუმის გამოკვლევის შეწყვეტა, თავს იმით იმშვიდებდა, როდისმე გავაგრძელებ მუშაობასო.

მაგრამ მისი ცოლი სხვა ხასიათისა იყო. მიზნად დაისახა ხალასი რადიუმის გამოყოფა და რადაც უნდა დასჯდომოდა, მიაღწევდა კიდეც! ურანის ფისოვანი მადნის ნარჩენებს კილოგრამს კილოგრამზე ამუშავებდა, ხოლო გადამუშავებული მასალიდან თანდათან რადიუმის ნატამალებსაც იღებდა.

დიდი სამუშაო შესრულდა. ახლა საჭირო იყო რადიაქტიული ხსნარების გასუფთავება და დაკრისტალება. მაგრამ ეს სამუშაოც მძიმე აღმოჩნდა, რადგან კვლევის საამისო აპარატები პრიმიტიული იყო. ქვანახშირის მტვერი ჰაერში ტრიალებდა და ისევ რეაქციას ახდენდა გასუფთავებულ პროდუქტთან. დედაჩემი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

ის წერდა: „სამუშაო მძიმე იყო. მაგრამ ჩვენ უაღრესად ბედნიერნი ვიყავით. მთელ დღეებს ლაბორატორიაში ვატარებდით. როცა ციოდა, ჩაის ვსვამდით და ღუმელთან ვისხედით. სიზმარში გვეგონა თავი. ჩვენ მხოლოდ ერთად ერთი საქმით ვიყავით შეპყრობილნი“.

— ნეტა ვიცოდე როგორი იქნება შესახედავად, — თქვა ერთ დღეს დედაჩემმა იმ ბავშვის ცნობისმოყვარეობით, რომელსაც სათამაშოს შეჰპირდნენ. — როგორ წარმოგიდგენია შენ, პიერ?

— არ ვიცი, — გამოეპასუხა მამა დინჯად, — მაგრამ ვისურვებდი, რომ ძალიან ლამაზი ფერისა ყოფილიყოს.

ეს საუბარი მოხდა 5 თვის შემდეგ იმ დღიდან, რა დღესაც კიურებმა რადიუმის აღმოჩენა ამცნეს ქვეყანას. ბოლოს, მაინც გაიმარჯვა დედამ...

1902 წელს მან შესძლო ერთი მეათედი გრამი წმინდა რადიუმის მიღება! ურწმუნონი, რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირე აღმოჩნდა, იძულებულნი იყვნენ ქედი მოეხარათ ამ ქალის ზეადამიანური ჯაფის წინაშე.

* * *

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. მარიმ აბანავა თავისი ქალიშვილი და დასაძინებლად დააწვინა. დიდხანს უჯდა შვილს სასთუმალთან. როცა გოგონას ჩაეძინა, ისევ ქმარს მიუბრუნდა, რომელიც მოუთმენლად ელოდა.

პიერ კიური ოთახში ნელა სცემდა ბოლთას. მარი ჩამოჯდა და განაგრძო ირენასათვის წინსაფრის კერვა. მაგრამ დღეს რაღაც უჩვეულოდ აფორიაქებულად გრძნობდა თავს. უცებ წამოიძახა:

— მივიდეთ ერთ წუთს პიერ, და ვნახოთ!

პიერიც მხოლოდ ამას ელოდა. გარეთ გამოვიდნენ. ხელიხელგაყრილებმა ფეხით გაიარეს. სიტყვაძუნწობდნენ. სარდაფის კარმა ძველებურად გაიჭრიალა.

— არ აანთო სინათლე! — თქვა მარიმ და გაიცინა. — გახსოვს როგორ მითხარი, მინდა ლამაზი ფერისა იყოსო.

და აჰა, მინის სინჯარიდან სიბნელეში რადიუმმა გამოანათა- საუცხოო ფერი ჰქონდა რადიუმს! „სხივოსანი“ მთელი ძალით კაშკაშებდა.

— უყურე, პიერ! — ჩურჩულით უთხრა მარიმ, ფრთხილად მიუახლოვდა რადიუმს, ხელის ფათურით სკამი მოსინჯა და ზედ ჩამოჯდა.

ცოლქმარი, პიერ და მარი კიურები მდუმარედ შესცქეროდნენ სიბნელეში გამოუცნობ, საიდუმლოებებით აღსავსე მოკაშკაშე სინათლეს, რომელსაც რადიუმი, მათი რადიუმი აფრქვევდა.

თარგმნა მედეა კოდუამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოდა



მოდა



- მხატვარი მოდელიორები:
- ტ. როიტუბი მ. ბაგდასაროვა,
- გ. ნანუკაშვილი.

# მშრალი ბადრიჯნიდან (ჩირიდან) კერძების დამზადება



საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავდა და ინსტიტუტის კვების პროდუქტების ექსპერიმენტულმა ქარხანამ უკვე აითვისა მშრალი ბადრიჯნის წარმოების ტექნოლოგია. მშრალი ბადრიჯანი მალე გამოჩნდება მაღაზიის დახლებზე.

გამშრალი ბადრიჯანი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კომპლექსს, მნიშვნელოვან მიკროელემენტებს. იგი ძვირფასი საკვები პროდუქტია. შრობის პროცესში ბადრიჯანი კარგავს მისთვის დამახასიათებელ სიმწკლარტეს. იგი წელიწადზე მეტ ხანს ინახება და საშუალება გვეძლევა ნებისმიერ დროს დავამზადოთ მისგან კერძები.

გამშრალი ბადრიჯნიდან ამა თუ იმ კერძის დასამზადებლად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მისი „აღდგენა“ — ე. ი. შრობის პროცესში მოცილებული წყლის დაბრუნება. ამისათვის გამშრალ ბადრიჯანს ათავსებენ ქვაბში, ასხამენ წყალს და ხარშავენ საშუალო ცეცხლზე 20-25 წუთი. ამ დროს მისი მოცულობა თითქმის 5-ჯერ იზრდება. შემდეგ წყალს გადაღვრიან და ამრიგად „აღდგენილი“ ბადრიჯანისაგან კერძების მომზადება ხდება ისე, როგორც ნედლი ბადრიჯანისაგან.

100 გრ. ბადრიჯანი აღდგენის შემდეგ კგ—ნედლი ბადრიჯანის ტოლფასია.

იმისათვის, რომ დიასახლისებს გაუადვილდეთ გამშრალი ბადრიჯანით სარგებლობა, ქვემოდ მთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს.

## ჩაშუშული ბადრიჯანი

წვრილად დაჭრილი ხახვი მოიშუშოს ზეთში, დაემატოს წინასწარ მოხარშული (აღდგენილი) ბადრიჯანი. 5-10 წუთის შემდეგ, როდესაც ბადრიჯანი კარგად ჩაიშუშება, დაემატოს დანაყილი ნიორი, ძმარი, წიწაკა და მარილი. საჭიროა: გამშრალი ბადრიჯანი — 100 გ.; ხახვი — 300-400 გრ., ზეთი — 100-200 გ., ნიორი — 1-2 კბილი, ძმარი, წიწაკა და მარილი გემოვნების მიხედვით.

## ჩაშუშული ბადრიჯანი მშრალი სანელებლებით

ნიორი დაინაყოს მარილთან და ქინძის თესლთან ერთად, დაემატოს ზაფრანა, რეჰანი და წიწაკა. მიღებული ნაზავი გაიხსნას ძმარში და დაემატოს ზემოთ აღწერილი წესით მოშუშულ ბადრიჯანს.

საჭიროა: გამშრალი ბადრიჯანი — 100 გ.; ხახვი — 300-400 გ.; ზეთი — 100-200 გ. ნიორი 1-2 კბილი, ქინძის თესლი — 1 ჩაის კოვზი, გამშრალი რეჰანი — 1 ჩაის კოვზი; ზაფრანა — 1 ჩაის კოვზი; წიწაკა მარილი და ძმარი გემოვნების მიხედვით.

## ბადრიჯანი მაიონეზით

წვრილად დაჭრილი ხახვი მოიშუშოს ზეთში. დაემატოს წინასწარ მოხარშული (აღდგენილი) ბადრიჯანი. მოიშუშოს 5-10 წუთი. ცალკე დაინაყოს ნიორი და ქინძის თესლი მარილთან ერთად, დაემატოს ზაფრანა და წიწაკა. მიღებული ნაზავი გაიხსნას მაიონეზში და შეერიოს ჩაშუშულ ბადრიჯანს.

საჭიროა: გამშრალი ბადრიჯანი — 100 გრ, ხახვი — 200-250 გრ., ზეთი — 100-200 გრ., ნიორი 2-3 კბილი, ქინძის თესლი — 1 ჩაის კოვზი, ზაფრანა — 1 ჩაის კოვზი, მაიონეზი — 100-150 გრ. წიწაკა და მარილი გემოვნებით.

## აჯაფსანდალი

წვრილად დაჭრილი ხახვი მოიშუშოს ზეთში, დაემატოს წინასწარ მოხარშული (აღდგენილი) ბადრიჯანი. 5-10 წუთის შემდეგ დაემატოს გაფცქვნილი მწიფე პამიდორი ან ტომატ-პასტა (ტომატ-პასტის დამატებისას უნდა დაემატოს 1,5-2 ჩაის ჭიქა წყალი), წვრილად დაჭრილი კარტოფილი და წიწაკა. იდუღოს კარტოფილის მოხარშვამდე. ქვაბის გადმოდგმამდე 2-3 წუთით ადრე დავუმატოთ წვრილად დაჭრილი მწვანილი და ნიორი.

საჭიროა: მშრალი ბადრიჯანი — 100 გრ. პამიდორი — 500 გრ, ან ტომატ-პასტა 1-2 სუფრის კოვზი, ხახვი 150-300 გრ., ზეთი 50-100 გრ, კარტოფილი 500 გრ, მწვანე ოხრახუში, ქინძი, რეჰანი — 100 გ., ნიორი 2-3 კბილი, წიწაკა და მარილი გემოვნებით.

## ბადრიჯნის საცივი

ნიორი დაინაყოს მარილთან და ქინძის თესლთან ერთად, დაემატოს უცხო სუნელი, ზაფრანა, წიწაკა. ეს საკმაზი კარგად აისრიოს წინასწარ დანაყილი ნიგოზში და გაიხსნას ძმარში.

წვრილად დაჭრილი ხახვი მოიშუშოს ზეთში, დაემატოს წინასწარ მოხარშული (აღდგენილი) ბადრიჯანი. 5-10 წუთის შემდეგ გადმოიდგას ცეცხლიდან და დაემატოს წინასწარ-მომზადებული საკმაზი.

საჭიროა: გამშრალი ბადრიჯანი — 100 გუ., ხახვი 100-200 გრ, ზეთი 50-100 გრ, ნიორი 2-3 კბილი, ქინძის თესლი — 1 ჩაის კოვზი, უცხო სუნელი 1 ჩაის კოვზი, ზაფრანა 1 ჩაის კოვზი, ნიგოზი 150-200 გრ, ძმარი 0,5 ჩაის ჭიქა, წიწაკა და მარილი გემოვნებით.

## ხორციანი ბადრიჯანი

წვრილად დაჭრილი ხორცი მოიშუშოს ხახვთან ერთად დარბილებამდე, დაემატოს წინასწარ მოხარშული (აღდგენილი) ბადრიჯანი, 10 წუთის შემდეგ დაემატოს გაფცქვნილი პამიდორი ან ტომატ-პასტა (ტომატ-პასტის დამატებისას დავასხათ 2,5-3 ჭიქა წყალი) და წიწაკა. იშუშოს ხორცის მოხარშვამდე. გადმოდგმამდე 2-3 წუთით ადრე დაემატოს დაჭრილი მწვანილი, დანაყილი ნიორი და მარილი.

საჭიროა: გამშრალი ბადრიჯანი — 100 გ., ხორცი ცხვრის ან საქონლის 1 კგ. ხახვი 400-500 გ., ნიორი 2-3 კბილი, პამიდორი 1 კგ, ან ტომატ-პასტა 2-3 სუფრის კოვზი. მწვანილი (რეჰანი, ოხრახუში, ქინძი) — 100 გრ, წიწაკა და მარილი გემოვნებით.

ძვირფასო დიასახლისებო, ისარგებლეთ გამშრალი ბადრიჯანის სიკეთით! დაამზადეთ მისგან ბოსტნეულის და ხორციანი კერძები!

ნ. ალხანაშვილი
დ. ზაუტაშვილი
ნ. ხახალეიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რჩევები სადედამთილოს

— გახსოვდეთ, თქვენი საპატარძლო მგრძნობიარეა და ნაზი, დელიკატურ დამოკიდებულებას მოითხოვს. მოგწონთ იგი თუ არა, მაინც პატივისცემით უნდა შეხვდეთ. აბა რა მისი ბრალია, თუ თქვენი შვილის გემოვნება თქვენსას არ ემთხვევა.

— ყური არ უგდოთ ჭორებსა და ვილაც-ვილაცებს. თუ ჭკვიანი ბრძანდებით, მომავალში რძალს თავადაც მშვენივრად შეაფასებთ.

— რძალზე არავითარი აუგი არ წამოგცდეთ არც სხვასთან და არც თქვენს ვაჟიშვილთან. მძახლებს არაფერი შესჩივლოთ — სულერთია, თავის ქალიშვილს, მტყუანიც რომ იყოს, მაინც გაამართლებენ.

— შექებას ნუ დაინანებთ! ეს მას კარგ ხასიათზე დააყენებს და საკუთარი თავისადმი რწმენას განუმტკიცებს. გულით გაიხარეთ, როცა რაიმე წარმატება ხვდება წილად. თუ კი მან თქვენზე უკეთ იცის რაიმე, ნუ შეგრცხვებათ მისგან ისწავლოთ, თუნდაც ეს ოჯახის მართვა იყოს. ხომ გაგიგონიათ, სწავლა სიბერემდეო.

— ნუ იქნებით ქედმაღალი და უკარება! ოჯახის სიამტკბილობისათვის, როცა საჭიროა, ზოგჯერ რძალს დაუთმეთ კიდეც. თუ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ჭკვიანია, შემდეგ უთუოდ მიხვდებიან თავიანთ შეცდომას.

— ნუ მოსთხოვთ რძალს, გინდა თუ არა დედა დამიძახეო. თუ მას ეს სურს, თვითონვე დაგიძახებთ.

— თუ ახალგაზრდებს ეკონომიურად უჭირთ, დაეხმარეთ, ოღონდ დაუყვედრებლად, არ დაამციროთ.

— ნუ დაემდურებით ახალგაზრდებს, ბევრ ფულს ფლანგავთო, თუ კი ისინი მართლაც უყაირათონი არიან, ამაში საკუთარი თავი დაადანაშაულეთ, შვილი მომჭირნეობას ვერ მიაჩვიეთთქო.

— გულს ნუ მოიყვანთ, თუ კი შვილიშვილს ბებიის სახელს არ დაარქმევენ, ალბათ ახალგაზრდა დედ-მამას თავისი რაღაც მოსაზრება აქვს.

ცოლ-ქმრის ჩხუბში არ ჩაერთოთ. თქვენი ჩარევა კონფლიქტს უფრო გაამწვავებს.

არავითარი მოთხოვნილება, შვილის და რძლის მიმართ, სიბერეში მომიარეთო! თქვენ ვაჟიშვილს აკი უკვე ჰქონდა საშუალება ენახა, როგორ უვლიდით თქვენ თავის დროზე მოხუცებს. ისე, რომ, იმედი გქონდეთ, მძიმე წუთებში ისინი თქვენ არ მიგატოვებენ.

— არავითარ შემთხვევაში უარი ::რა თქვათ პირად ცხოვრებაზე. არ დაუშვათ, რომ მთლიანად ახალგაზრდა ოჯახზე იყოთ დამოკიდებული. საშუალება მიეცით ახალგაზრდებს თითონ გაართვან თავი სიძნელეებს, მაგრამ არც უცხოსავით და გარეშე მაყურებელივით მოიქცეთ.

# მარგარინი

მარგარინის დასამზადებლად საჭიროა მაღალხარისხოვანი მცენარეული ზეთები (მზესუმზირისა, ბამბისა, სოიოსა, ქოქოსისა), გადამდნარი ცხოველური ცხიმები, კარაქი, რძე, შაქარი, ლიმონმჟავა, საგემოვნო ნივთიერებები (კაკაოს ფხვნილი, ვანილი), ვიტამინი A და წყალი.

მარგარინის უპირატესობა ის გახლავთ, რომ იგი მცენარეულ და ცხოველურ ცხიმებს ოპტიმალური (საუკეთესო) თანაფარდობით შეიცავს, რის გამოც კარგადაც შეითვისება.

ორგანიზმისათვის საჭირო ენერგიის გამოსამუშავებლად უნდა დაიხარჯოს 30—35 პროცენტი ცხიმი. სამწუხაროდ, როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, ჩვენ ცხოველურ ცხიმებს გაცილებით მეტს ვხმარობთ, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ქოლესტერინს და გაჯერებულ ცხიმოვან მჟავეებს, რაც თავის მხრივ ჰქმნის სიმსუქნის, ათეროსკლეროზისა და ღვიძლის ფუნქციების დარღვევის საშიშროებას. ამიტომ საჭიროა, არა მრტო შევზღუდოთ ცხიმების საერთო რაოდენობის მიღება, არამედ ოპტიმალურად შევურწყათ ერთმანეთს ცხოველური და მცენარეული ცხიმები. ჯანმრთელი ადამიანის რაციონში მცენარეულ ზეთს უნდა ეჭიროს საერთო ცხიმების არანაკლებ ერთი მესამედი ნაწილი, ხოლო ხნიერი ადამიანის რაციონში — ნახევარზე მეტი.

მარგარინში, რომელიც ჩვენს მაღაზიებში იყიდება, ცხოველური და მცენარეული ცხიმების რაოდენობა საუკეთესოდ — ოპტიმალურად არის შეხამებული.

ყველა ხარისხის მარგარინს თავისი დანიშნულება აქვს: ზოგი ბუტერბროდისათვის იხმარება, ზოგი ტკბილეულისა და კერძების დასამზადებლად და ა. შ.

მარგარინი უნდა შეინახოთ მაცივარში. საგემოვნო თვისებებს იგი ერთ თვეს ინარჩუნებს.

ახლა ჩვენი მრეწველობა ითვისებს ახალი სახის მარგარინს „დიეტურს" — მცირეკალორიულს; რომელიც თითქმის 80 პროცენტ მცენარეულ ზეთს შეიცავს. ეს მეტად საჭირო პროდუქტი დაფასოებულია პლასტმასის კოლოფებში და მეტად გემრიელია. იგი განსაკუთრებით საჭიროა მათთვის, ვინც თვალს ადევნებს საკუთარ წონას. ეს მარგარინი შეგიძლიათ ისე ჩართოთ თქვენს რაციონში, რომ შემუშავებული კვების წესი არ დაგერღვეთ, ესე იგი, გააკეთოთ მისგან ბუტერბროდი, ჩადოთ ფაფაში, გარნირში და ა. შ.



მ. ლევაჩევი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

# ფერად-ფერადი

# ფერად-ფერადი

# ფერადი-ფერადი

## მკითხაობა კიტრებზე

შვეიცარიელ გლეხებში საახალწლო მკითხაობის ასეთი წესია გავრცელებული: კიტრს 12 ნაკუწად დაჭრიან (წელიწადის ყოველი თვის შესაბამისად) და მარილს მოაყრიან. იმის მიხედვით, თუ როგორ გალღვება მარილი, ოჯახის უფროსი პროგნოზს „გამოიტანს“ ხოლმე: მომავალი წლის რომელი თვე იქნება მშრალი, და რომელი — წვიმიანი.

## სად ცხოვრობენ სულები

ირლანდიის ტურიზმის სამმართველომ შენიშნა, რომ ტურისტები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ კუნძულის სამხრეთ-დასავლეთში არსებულ ძველი ციხე-დარბაზიების მიმართ; იქ ხომ, გადმოცემების მიხედვით, „სულები ბინადრობენ“. ამგვარი დაინტერესება ხოლიდური შემოსავლის წყაროა. ამიტომაც სამმართველომ ამ საგრაფოთა მცხოვრებლებს ანკეტები დაუგზავნა და სთხოვა, წვრილად აგვიწერეთ „შენობები, სადაც სულები ანდა მოჩვენებები ბინადრობენო“.

## მეტი დარწმუნებისათვის

ვიდეოჩანაწერების ერთმა ამერიკელმა ფირმამ ასე მიმართა თავის კლიენტებს: „თუ სიცოცხლეში კინოვარსკვლავი ვერ გახდით, არ იდარდოთ. შეგიძლიათ სიკვდილის შემდეგაც მოახდინოთ გამაოგნებელი შთაბეჭდილება“. ეს ხრიკებიანი ფირმა კლიენტებს სთავაზობს, ანდერძი, — კი არ დაწეროთ, — ვიდეოლენტზე ჩაწერეთო; მემკვიდრეები სიკვდილის შემდეგ რომ გნახავენ და მოგისმენენ, მიცვალებულის ნებას ველარ გადავლენო.

## იუმორისტი-პროგნოზისტი

1862 წელს, ერთმა ინგლისელმა იუმორისტულმა ჟურნალმა სახუმარო პროგნოზი გამოაქვეყნა იმაზე, თუ 100 წლის შემდეგ როგორ იცხოვრებდა კაცობრიობა. ხალხი რომ გაეცინებინა, ავტორი ერთიმეორეზე უაზრო წინასწარმეტყველებებს ქადაგებდა. ჩვენ არ ვიცით, ავტორის თანამედროვე მკითხველთა რეაგირება ამ თხზულებაზე. ჩვენი დროის მკითხველებს კი რამდენიმე მათგანს ვთავაზობთ. დაე, თქვენ თვითონ შეაფასეთ ეს პროგნოზები. აი, ისინიც:

— 1962 წელს ადამიანები მთვარეზე გაფრინდებიან.

— ევროპიდან აზიაში ტვირთიცა და ფოსტაც ჰაერით გადაიზიდება.

— რუსეთში, ციმბირში, ბამბას თავისუფალი ადამიანები მოიყვანენ.

— ადამიანები მოძრავი ფოტოთი გაერთობიან.

— ქალები სილამაზის სალონებში სახის ნაკვთებს შეიცვლიან და შარვლით ივლიან.

— კაცობრიობა ისეთ საშინელ რამეს აღმოაჩენს, რომ... პლანეტაზე სიცოცხლეს დაემუქრება.

(„ტექნიკა მოლოდიოჟი.“ 1982 წ. № 10)

## ლომი, ვეხვი და ლეოპარდი

იაპონიის ქალაქ ნიშინოიმის ზოოპარკში კაცი უცნაურ ცხოველებს ნახავს — ტანი ლეოპარდს მიუგავთ, ოღონდ ზოლები მკრთალად გახდევთ ტყავზე. თვითონ ტყავი კი... ლომისა არის. ეს ლეოპოებია — ლომისა და ლეოპარდის ნარევი. მეორე ზოოპარკში ლეოპონი ვეფხვს შეაჯვარეს და ტიპონი მიიღეს. ასე რომ, ეს ეგზოტიკური ცხოველი ლომის, ვეფხვისა და ლეოპარდის თვისებების მემკვიდრეა.

(„ნაუკა ი რელიგია“)

## რა ბრძანეთ?

როგორც ცნობილია, ჟესტიკულაცია ადამიანთა მეტყველებას მეტ გამომხატველობას სძენს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ამ მხრივ ყველაზე გულგრილნი ინგლისელები არიან. მრავალი სენსაციური ცნობისაგან შემდგარი ერთსაათიანი ტესტის დროს ინგლისელები არც კი განძრეულან. იტალიელების ჟესტიკულაციის კოეფიციენტი 80 იყო, ფრანგებისა — 120, მექსიკელებისა კი — 180.

გარეკანის პირველ გვერდზე — ნინო ანანიაშვილი; მეოთხეზე — პირველი ზარის წინ. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები


მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი),

ნომერი გააფორმა გურამ გოგოლაძემ

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина. 14.

რედაქციის მისამართი—ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6. 08. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 09. 84 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 140.000. შეკვ. 1767 უე 06691:

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიმღერა გრძელდება...
სპარტაკ ჯანიაშვილის
ფოტოეტიუდი

8218/131



ინდექსი 76178

ფასი 30 კაპ